# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ხუთშაბათი, 10 ოქტომბერი 1996 №104 (329) | ფასი 50 თეთრი

# შირერს გააქვს, ინგლისი იგებს

**ინგლისი 2:1 პოლონეთი**

**ინგლისი:** სიმენი, გ. ნევილი, პირსი, ინსი, საუთგეიტი (პალისტერი 51), ჰინჩკლიფი, ბექემი, გასქოინი, შირერი, ფერდინანდი, მაკმანამანი

**პოლონეთი:** ვოზნიაკი, მიხალსკი, ვოიტალა, იუზვიაკი, ზელინსკი, ვალდოხი, მაიტო, ბალუშინსკი, ვარჟიხა (საგანოვსკი 75), ნოვაკი, ციტკო

**0:1 ციტკო (7), 1:1, 2:1 შირერი (25, 38)**

ზურაბ მექვევლია
ლონდონიდან

ახლახან იყო, ინგლისის პრესა რომ წერდა, ჰოდლი პოლონელებთან ფერდინანდის გამოყვანას არ აპირებსო, მაგრამ ლესს მწვრთნელი მაინც დაუყოლებია და მანაც დავდახხმაში შირერს სწორედ ფერდინანდი გაუწყვილა. ამან გაამართლა კიდეც. გადამწყვეტი გოლი, რომელიც 38-ე წუთზე გავიდა, ფერდინანდის დამსახურებაც იყო. შირერმა საჯარიმოს გარედან დაარტყა, ბურთი მცველს კი მოხვდა, მაგრამ ფერდინანდის საკბილო გახდა. ინგლისელთა ათიანმაც ისევ შირერს დაუგორა, მისი დარტყმული კი შიგ ცხრიანში შევარდა.

მანამდე კი, პირველი 24 წუთი, მინდორზე სტუმრები ბატონობდნენ. დასაწყისშივე მარჯვნიდან ჩაწოდებული პოლონელმა ვარჟიხამ გონივრულად გაატარა. მასპინძლები ნევილი და საუთგეიტი ბურთს ასცდნენ, ციტკომ კი შანსი ხელიდან არ გაუშვა და პოლონელები დაწინაურდნენ. გაშვებულმა გოლმა ინგლისელები დააბნია. პირსმა კინაღამ საკუთარ კარშიც შეაგდო. საერთოდ, სიმენი რომ არა, პოლონელები ალბათ კიდევ გაიხარებდნენ, მაგრამ 25-ე წუთზე ინგლისი შირერმა იხსნა. ბექემის მიერ მარჯვნიდან ჩაკიდებულზე ვოზნიაკი უშნოდ გამოვიდა და, შეიძლება ითქვას, საბედისწერო შეცდომაც დაუშვა: ბურთს ვერ შეწვდა და დადარაჯებულმა შირერმა 8 მეტრიდან ცარიელ კარში თაური შეაგდო.

მეორე ტაიმში თამაში გალაღდა. ორივე გუნდმა კარგი ბურთაობა გააჩაღა. მარტო ბოლო ხუთ წუთში ექვსი სახიფათო მომენტი შეიქმნა ორივე კართან, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა და თბილისელთათვის კარგად ნაცნობი ჰელმუტ კრუგის ბოლოჯერ ჩასტვენამ სტადიონზე მოსულ 74 664 ინგლისელ გულშემატკივარს კმაყოფილება მოჰგვარა.

## წუხელ

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

#### ევროპა

| | | | |
|---|---|---|---|
| I ჯგუფი | კოპენჰაგენი | **დანია — საბერძნეთი** | **2:1** |
| | | ცოგორაკისი (26 ს.კ.), მ. ლაუდრუპი (51); დონისი (36) | |
| III ჯგუფი | ოსლო | **ნორვეგია — უნგრეთი** | **3:0** |
| | | რეკდალი (83, 89, 90 პ.) | |
| IV ჯგუფი | სტოკჰოლმი | **შვედეთი — ავსტრია** | **0:1** |
| | | ჰერცოგი (12) | |
| | ტალინი | **ესტონეთი — შოტლანდია** | **0:3** |

იმ მიზეზის გამო, რომ ტალინის სტადიონზე არ არის საკმარისი სიმძლავრის განათება, რაც უარყოფითად იმოქმედებდა ტელერეპორტაჟის ხარისხზე, შოტლანდიელებმა მოითხოვეს მატჩის დღისით გადატანა. ფიფას წარმომადგენელი დათანხმდა ამ წინადადებას, რამაც ესტონელთა უკმაყოფილება გამოიწვია, ბილეთები უკვე გაყიდულია, ხალხის გაფრთხილებას ველარ მოვასწრებთო და უარი თქვეს თამაშზე. დებულების თანახმად ესტონეთის ნაკრებს 0:3 წაგება ჩაეთვალა.

| | | | |
|---|---|---|---|
| | მინსკი | **ბელარუსი — ლატვია** | **1:1** |
| | | ზემლინსკი (16); მაკოვსკი (78) | |
| V ჯგუფი | რამათ განი | **ისრაელი — რუსეთი** | **1:1** |
| | | ბრუმერი (63); კოლივანოვი (79) | |
| VI ჯგუფი | პრაღა | **ჩეხეთი — ესპანეთი** | **0:0** |
| VII ჯგუფი | სერავალი | **სან მარინო — ბელგია** | **0:3** |
| | | ვერჰაიენი (10), ნილისი (20, 46) | |
| VIII ჯგუფი | რეიკიავიკი | **ისლანდია — რუმინეთი** | **0:4** |
| | | მუნტეანუ (21), ჰაჯი (60), პოპესკუ (75), პეტრესკუ (81) | |
| | დუბლინი | **ირლანდია — მაკედონია** | **3:0** |
| | | მაკატიერი (8), კასკარინო (46, 70) | |
| | ვილნიუსი | **ლიტვა — ლიხტენშტაინი** | **2:1** |
| | | იანკაუსკასი (43), ნარბეკოვასი (55); ცეხი (54) | |
| IX ჯგუფი | ტირანა | **ალბანეთი — პორტუგალია** | **0:3** |
| | | ფიგუ (11), ელდერი (75), რუი კოშტა (86) | |
| | ერევანი | **სომხეთი — გერმანია** | **1:5** |
| | | კ. მიქაელიანი (85); ჰესლერი (20, 39), კლინსმანი (26), ბობიჩი (69), კუნცი (81) | |

#### სამხრეთ ამერიკა

**ეკვადორი — კოლუმბია 0:1**

#### საქართველოს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩები

შირაქი — მერანი-91 1:1 (0:4), არმაზი — სიონი 2:1 (0:2), მორკინალი — გორდა 3:3 (1:2), ნოკ — ივერია 1:2 (0:0), ასკ — კახეთი 4:1 (2:2), ცხინვალი — შევარდენი 2:4 (1:5); მგლაროელი — ტორპედო და დინამო 2 — დილა გადაიდო. დანარჩენი მატჩების შედეგები, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ვერ შევიტყვეთ.

#### შვეიცარიის ჩემპიონატი. XV ტური

ბაზელი — იანგ ბოიზი 1:1, სენტ გალენი — ციურიხი 1:0, ქსამაქსი — ლუცერნი 1:1, სერვეტი — ლოზანა 1:2, სიონი — ლუგანო 1:0, გრასჰოპერი — არაუ 0:0

#### ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტური

ეინდჰოვენი — ტვენტე 2:0, სიტარდი — გრააფსხაპი 0:3, აჯაქსი — სპარტა 1:2, ბრედა — უტრეხტი 3:3, აიაქსი — ტილბურგი 3:0, ვიტესი — როდა 1:2, ფეიენოორდი — გრონინგემი 3:1, ვალვაიკი — ვოლენდამი 0:0, ნაიმეგენი — ჰერენვენი 1:1

დღევანდელი „სარბიელი" თორმეტგვერდიანია

# პერუჯამ იმედიც ჩაგვისახა

ილია ბაბუნაშვილი
გიორგი ოქრომჭედლიძე
იტალიიდან

ამ მატჩს ყველანი დიდი მღელვარებით ველოდით: ერთი რომ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი შეხვედრა გახლდათ და, საერთოდაც, ახალი ციკლის საწყისი მატჩი იყო. ახალს არას ვიტყვით, მეტოქის მხოლოდ სახელიც კი თავზარდამცემი გახლდათ. სახელში, რა თქმა უნდა, ტიტულებს ვგულისხმობთ. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთან ამ საუკუნეში ეგებ არც მოგვეცემოდა შეხვედრის შანსი, განგებას რომ არ ენება და შესარჩევი ტურნირის უძლიერეს ჯგუფში არ ჩავეგდეთ. იტალია ყოველთვის იტალიაა, თავისი, მეტწილად ძლიერი და ხანდახან სუსტი მხარეებით, მაგრამ ახლა, წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ, იტალია გავეშებულ მხეცსა ჰგავს. ტიფოზებს წყურვილი ვერც მოლდოვაში 3:1 გამარჯვებამ მოუკლა. ამაზე უკვე ვწერდით და ბევრს აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ ფაქტია, საქართველოსთანაც არამარტო სასურველი შედეგი გახლდათ ნუგეში, არამედ ძლიერი თამაშიც, რომელსაც რახანია ამაოდ ელიან არიგო საკის გუნდისგან.

იტალიამ იცის საკის ფასი, გონების დაუძაბავად ახსოვს, ვინ არის იმ რეფორმის წამომწყები, საქვეყნოდ ცნობილ იტალიურ „კატენაჩოს" შემტევი სტილი რომ შეუნაცვლა. ისიც იციან, რომ საკი გენიოსია, ამას დაუფარავად აღიარებენ, ოღონდ მისი ექსპერიმენტები ყელში ამოუვიდათ და ითხოვენ, გენიოსი კი არა, უბრალო ადამიანი გვსურს მწვრთნელად, რომელიც თამაშს მოგვაგებინებსო. ვერაფერს იტყვი, შესაშური პრაგმატიზმია, მაგრამ იმაში შეიძლება დათანხმება, რომ საკის ტყუილად არ აკრიტიკებენ უცერემონიოდ და მის საქმიანობას საყოველთაოდ განაქიქებენ. ყოველივეში იტალია — საქართველოს გუშინდელმა მატჩმაც დაგვარწმუნა. ვერავინ იტყვის ხელაღებით, რომელმა გუნდმა აჯობა მეტოქეს თამაშში (ამაზე მხოლოდ შედეგით მსჯელობაც არ გამოგვადგება), რადგან სახიფათო მომენტები ორივე კართან საკმაოდ შეიქმნა და თუ მასპინძლებმა პირველ ნახევარში მეტოქე მხოლოდ რამდენჯერმე გადაუშვეს თავის მოედანზე, მეორე ტაიმში სულ მთლად ზედსიძედ დაისვეს.

იტალიამ თავიდანვე შეუტია. მე-2 წუთზე დი ლივიო გაიჭრა კარისკენ მას შემდეგ, რაც ცხადაძემ უმისამართოდ მოიგერია და ამასვე მიაწოდა. ამ ეპიზოდში კუდინოვმა იმარჯვა, თუმც კი ჯარიმაც აიკიდა. რავანელის დარტყმული საჯარიმო კედლიდან კუთხურზე გადავიდა. მის გათამაშებას კი მასპინძელთა გასახარი არაფერი მოჰყოლია. ორ წუთში დი მატეოს დარტყმა ზოიძემ უპრობლემოდ აილო, მე-5 წუთზე კი კაზირაგის მიერ შორეულ კუთხეში გაგზავნილს დიდი ჯაფით მოუჭრა გზა.

მე-8 წუთზე ქართველები პირველად მიეახლნენ მეტოქის საჯარიმოს. კობიაშვილმა საჯარიმოს კუთხეში ქეცბაიას მიაწოდა, მან შეტევაში მარცხენა ფლანგიდან ჩართულ შელიას შეუყოლა, მას კი, ნესტა რომ უშლიდა ხელს, ბურთი გაექცა და კარს გარედანღა გაარტყა. გაცუდებულ შეტევას მასპინძლებმა მალევე უპასუხეს, მაგრამ კაზირაგიმ ქინქლაძის მიერ დაკარგული ბურთი საჯარიმოს ხაზიდან ააცილა. მე-16 წუთზე რავანელის ჩაწოდებული კვლავ კაზირაგიმ მიმართა კარისკენ, მაგრამ ზოიძემ, ახლო კუთხეს რომ ფარავდა, ბურთი კუთხურზე მოიგერია.



კაზირაგისა და შელიას ორთაბრძოლა

გაგრძელება მეორე გვერდზე



საქართველოს ნაკრების თავკაცობა პერუჯის სტადიონზე

**იტალია — საქართველო 1:0**

9 ოქტომბერი. პერუჯა.

1 ტოლდო
5 ფერარა
4 ნესტა 2 პესოტო 3 მალდინი
7 დი ლივიო 6 კარბონი
10 დი მატეო 8 კონტე
9 კაზირაგი 11 რავანელი

11 გოგრიჭიანი
9 ქეცბაია 10 ქინქლაძე
8 კობიაშვილი 6 გოგიჩაიშვილი
7 ნემსაძე
4 შელია
5 კუდინოვი 2 ლობჟანიძე
3 ცხადაძე
1 ზოიძე

**შეცვლები:** კარბონი — 18 ძოლა (16), გოგრიჭიანი — 14 რ. არველაძე (31), კუდინოვი — 15 ინალიშვილი (46), კონტე — 14 დ. ბაჯო (59), დი ლივიო — 13 პანუჩი (81)
1:0 რავანელი (43)
**გაფრთხილება:** კუდინოვი
**მსაჯი:** ლ. ბლარო (ბელგია)

ამ დროში იტალია ერთგვარად შებოჭილი უტევდა. სახიფათო მომენტს ძირითადად ჩვენი ნახევარდაცვისა თუ უკანა ხაზის შეცდომათა წყალობით ჰქმნიდა და არა თავის მიერვე შექმნილი, მეტოქისთვის თავსმოხვეული თამაშით. მათი თამაშის დალაგება განაცხადში შეყვანილთაგან ერთადერთ კაცს შეეძლო. ცხადზე ცხადი იყო — ძოლას. საკიმაც არ დააყოვნა, ტაიმის მესამედი ახალი გალეული იყო, მსუბუქად ტრავმირებულ მარცხენაფლანგელ კარბონის „პარმას" შემტევი ნახევარმცველი რომ შეუნაცვლა. ამას იტალიელთა რიგებში გადალაგება არ გამოუწვევია — ძოლა მარცხენა ფრთაზევე გაამწესეს და მას გუნდისთვის სარგებლის მოტანა არც აქედან გასჭირვებია. თუმცა, ამ სარგებლამდე კიდევ 27 წუთი მოუწიათ ცდამ, ვიდრე ტაიმის ბოლოსკენ ძოლას ჩაწოდებით რავანელიმ ზოიძეს თაური არ გაუტანა.

ძოლას გამოსვლისთანავე კაზირაგიმ შორიდან ისევ ააცილა კარს, 22-ე წუთზე კი ქართველთა კარი ზოიძემ გადაარჩინა, რადგან რავანელის მიერ შესრულებული ჯარიმა ქართველთა კედელში გაძვრა და ზოიძემ მიწიდან ასხლეტილი ხელში აიღო. ზოიძე 4 წუთში რავანელის ისევ აჯობა, დი მატეოს ჩაწოდებულზე მაღალი ბურთი ფაბრიციოს თავსზემოთ რომ აართვა. 29-ე წუთზე „მილანის" თავდამსხმელი კუდი- [illegible] ჩვენებური ფეხებში ჩაუვარდა.

ჩვენთვის გასახარი რა იყო? ნახევარ საათს იტალიას რომ გაუძლებ, სხვისთვის, შესაძლოა, სატრაბახოც იყოს, მაგრამ ჩვენთვის, გულში საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლა რომ ამოუჭრია, პირველი 30 წუთი ვერაფერი ნუგეში უნდა ყოფილიყო, რადგან ზოიძე და შელია რომ არა, იტალიელები მალევე იხეირებდნენ. ჩვენებმა კი ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთი, ისიც უხეირო შეტევა გაახერხეს. მთელს ამ დროში ჩვენები ძნელად ახერხებდნენ იმას, ერთი პასი მეორისთვის რომ გადაებათ და ბურთი ცოტა ხანს მაინც დაეჭირათ, მაგრამ ჩანდა, არც იტალია იყო ის გუნდი, მეტოქისთვის თავისი თამაში რომ მოეხვია თავს. ისინი ისევ და ისევ ჩვენების ელემენტარული შეცდომების გამოყენებით ცდილობდნენ ფონს გასვლას და, აკი გითხარით, ტაიმის ბოლომდე უშედეგოდ. ამ ფონზე, ცოტა არ იყოს, გაუგებარი გახლდათ ის შეცვლა, 31-ე წუთზე ჩივაძემ რომ განახორციელა. მან თავდამსხმელ გოგრიჭიანს ნახევარმცველი რეზო არველაძე ამჯობინა. ამით უთავდამსხმელოდ არ დავრჩენილვართ, რადგან ქეცბაიამ გოგრიჭიანის ადგილას, თავდასხმაში წაინაცვლა, მაგრამ არც ნახევარდაცვა გაძლიერებულა. რა ცოდნა უნდა, არველაძე ქეცბაიაზე არც მეტად მებრძოლია, არც მოძრავი და არც გამოცდილი. რაც შეეხება გოგრიჭიანს, იგიც ტყუილად დაასვენეს, რადგან იმაში, სახიფათო მომენტი რომ არ შექმნილა, ყველაზე ნაკლებად თავად იყო დამნაშავე. იმ 30 წუთის მანძილზე, რაც გოგრიჭიანი მოედანზე იყო, საკმარისად ბევრსაც მოძრაობდა, კიდეც იხსნებოდა, მაგრამ მისი მისამართით პასი არ ჩანდა, რადგან, ეს რომ მომხდარიყო, ამისთვის ჩვენებს, სულ ცოტა, ბურთი უნდა სჭეროდათ, ამას კი, როგორც გითხარით, ვერ ახერხებდნენ.

დრო გადიოდა, ქართველები კი ისევ სტატისტთა როლში რჩებოდნენ. 0:0-იც ერთგვარი ნუგეშია, რაც მეტხანს გაძლებს ტაბლოზე, მაგრამ თუ შეცდომებით დაღდასმულ დაცვას მობილური ნახევარდაცვა არ წაახმარე, რა მიხვედრა უნდა, როცა იქნება, იტალია მაინც გაგიტანს. შესაძლოა, ვერც გაგიტანოს, მაგრამ რაც მოხდა, უკვე კარგად ვიცით. ისე, მართალი რომ ვთქვათ, ეს ვერცთუ თვალგასახარი თამაში სწორედ ფრედ უნდა გასრულებულიყო. არა, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ეს შედეგი გვაძლევდა ხელს, არამედ იმიტომაც, რომ თამაში ჯამში მაინც თანაბარი გამოდგა და მეორე ტაიმში მეტოქის მოედანს შეჩვეულ ქართველებს ისეთივე რეალური მომენტები ჰქონდათ გასატანად, როგორიც იტალიელებს. შეიძლება, უფრო რეალურიც.

პირველი სახიფათო ეპიზოდი, როცა მასპინძლები ვალდებულნი იყვნენ, გოლი გაეტანათ, 35-ე წუთზე რავანელიმ შეუქმნა გრძელი ჩაწოდებით კონტეს. ამ მომენტში კონტეს ხელს არავინ უშლიდა, მხოლოდ შელიამ სცადა მაკრატელასებურ ნახტომში მეტოქის თავიდან ბურთის აცლა, უშედეგოდ, მაგრამ კონტემ, დაფრთხა თუ რა იყო, თაური გვარიანად ააცილა. 5 წუთში მალდინიმ, რომელიც მთელ მარცხენა ფრთას აკონტროლებდა, შეუტია და საჯარიმოში კუდინოვთან შეხებისთანავე კიდეც გაგორდა, მაგრამ რაც არ იყო, ბელგიელი არბიტრი ბლარო ისეთ პენალტს როგორ დადებდა. ამას რომ ვამბობთ, სწორედ ის მომენტი გვახსენდება, 2 წუთში ქინქლაძემ ქეცბაიას რომ შეუქმნა. საჯარიმოს ხაზთან გიომ ორ მცველს შორის გაუჭრა ქეცბაიას ბურთი, ისიც მხოლოდ მას შემდეგ გასცდა მცველებს, რაც ქინქლაძემ პასი გააკეთა, მაგრამ ძელს გაარტყა, თუმცა გადმოვარდნილ ბურთზე დამატების ბრწყინვალე შანსი კობიაშვილს ჰქონდა და აკი დაამატებდა, მსაჯის სისტვენს იქაურობა რომ არ გაეყრუებინა. ოფსაიდი იყოო! მაშინაც თვალნათლივ ჩანდა და პრესცენტრში კიდევ ერთხელ ნახვისასაც დავრწმუნდით, რომ არანაირი თამაშგარე აქ არ ყოფილა. მსაჯები უხეშად შეცდნენ და ეს შეცდომა ქართველებს ძვირად დაუჯდათ. წუთის შემდეგ ძოლამ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა. იქ კი რავანელიმ შელიას თავით დაასწრო და გამოსულ ზოიძეს მატჩში ერთადერთი გოლი გაუტანა. მგონი, სჯობდა, ამ მომენტში ზოიძე ხაზზე მდგარიყო, რადგან რავანელის შელია ებრძოდა, თანაც, ეს ისე ახლოს იყო, კარის ხაზთან, რომ ზოიძეს ხეირიანი ნახტომისთვის საკადრისად შემაღლება არ შეეძლო. ადგილიდან ამხტარი, ცალი ხელით მოსაგერიებლად გამოსული მეკარისთვის კი ეს ბურთი იოლი საგბილო რომ არ გახლდათ, ფაქტია.

გოლი ყველაზე ცუდ დროს გავიდა. პირველი გოლის ყბადაღებულ ფაქტორს, რომლითაც ჩივაძემ ყველა და მათ შორის მოთამაშენიც დააკომპლექსა, ისიც დაერთო, რომ ანგარიში სწორედ იმ დროს გაიხსნა, როცა გუნდები სადაცაა შესვენებაზე უნდა გასულიყვნენ და მწვრთნელთა დარიგებანი მოესმინათ. ამის გაკეთება ქართველთათვის 0:0-ზე უფრო იოლიც იქნებოდა და საშურიც, მაგრამ ასე არ მოხდა.

ტაიმის ბოლოს კი კუდინოვმა, არაერთ ხიფათს რომ გადაურჩა, გაფრთხილებაც დაიმსახურა და ჩივაძემ იგი თამაშის განახლებამდევე შეცვალა. კუდინოვის ნაცვლად ინალიშვილის გამოყვანაში, როგორც მცველის მაგივრად ნახევარმცველისა, რაღაც ლოგიკა იყო, მაგრამ იტალიასთან იმ ფეხბურთელის გამოყვანა, რომელიც „დინამოს" ძირითადში ვერ ხვდება და, შესაბამისად, სათამაშო პრაქტიკის უქონელია, საოცარია, მეტი რომ არ ვთქვათ. ინალიშვილის კარგი თამაში ყველას გვახსოვს, მაგრამ ბოლო დროს მისი ხილვა მხოლოდ უკეთესის სურვილის საბაბს იძლევა და ამდენად მისი გამოჩენა მოულოდნელიც იყო. თუ მეორე ტაიმში ვინმეს გამოყვანა იქნებოდა უპრიანი, სწორედ რომ თავდამსხმელთაგან ერთ-ერთის — ყაველაშვილის თუ ჯიშკარიანისა. თამაშის მეორე ნახევარში ჩვენებმა უკანდახეულ იტალიელებს არაერთხელ რომ შეუტიეს, მათ სწორედ თავდამსხმელი აკლდათ. ისეთ მომენტებს, ქეცბაიამ და ნემსაძემ რომ ვერ გამოიყენეს, თავდამსხმელი ხელიდან არ გაუშვებდა. ჯერ თემურმა, ქინქლაძის პასით პესოტო რომ ჩამოიტოვა, გამოსულ ტოლდოს დავასწრებო, მისი გვერდის ავლაც არ სცადა და ვერც აჯობა, მერე კი ნემსაძეს, ბურთი რომ ჩინებულად მიიღო მკერდით და მყისვე, დაუშვებლად დაარტყა, გოგიჩაიშვილის ეს ჩაკიდებული მაინც გაუცუდდა. ამათ გარდა ინალიშვილმაც ვერ გამოიყენა მალდინის მჯობნი გოგიჩაიშვილის გამჭოლი პასი, რაკი არ ელოდა (?!) ერთხელაც არველაძე აღმოჩნდა მსგავს სიტუაციაში, მაგრამ ბურთის დამწევი რომ არ იყო, თავიდანვე ეტყობოდა. შიგადაშიგ იტალიელებიც უტევდნენ, მაგრამ ქართველთა ერთ-ორ შორეულ დარტყმასაც თუ გავიხსენებთ, გამოჩნდება, რომ მათ მეორე ნახევარში დასჯაბნეს იტალიელები. ამის მიზეზად ჩივაძემ შესვენებისას განხორციელებული ტაქტიკური ცვლილებები დაასახელა.

მოკლედ ის შეიძლება ითქვას, რომ იტალია გუშინ ვერ იყო ის გუნდი, რომლის დამარცხება ჩვენებს არ შეეძლოთ. მეორე ტაიმში ქართველებმა ამისთვის ყველაფერი გააკეთეს, გოლის გატანის გარდა. წაგება, აბა, რომელია გასახარი, ეს მარცხი არც „მოგების ტოლფასი" იყო, მაგრამ, თუნდაც პრაგმატული თვალსაზრისით, ანაც თვითრწმენის შესაძენად, ამ თამაშს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ჯერი კვლავ ჩივაძეზეა, იმედია, საინგლისოდ ჯამარაულიც გამოჯანმრთელდება და საექსპერიმენტოდ აღარ ექნება საქმე.

# ქართველთა რბევა არეცოში

**იტალია — საქართველო 6:0**

9 ოქტომბერი. არეცო.

1 ბუფონი
6 რივალტა
2 სარტორი 5 ომბოგანი 3 კოკო
4 ამბროზინი
7 ლოკატელი 8 ფიორე
10 ტაკინარდი
11 კამარატა 9 ლუკარელი

11 აშვეთია 10 ფოცხვერია
9 ქებაძე
8 მუჯირი
7 კიკნაძე
3 გახოკიძე 4 ლომიძე
2 კალაძე 5 დავითნიძე
6 ხუჯაძე
1 ასლანიძე

**შეცვლები:** აშვეთია — 15 დემეტრაძე (46), მუჯირი — 16 ზირაქიშვილი (53), კამარატა — 16 ვენტოლა (53), სარტორი — 13 პისტონე (64), ფოცხვერია — 14 იაშვილი (66), ფიორე — 15 ბარონიო (66)
1:0 კამარატა (6), 2:0, 3:0 ლუკარელი (11 პ, 21 პ), 4:0 ტაკინარდი (55 პ), 5:0 ლუკარელი (66), 6:0 ლოკატელი (71)
**გაფრთხილება:** კოკო, მუჯირი, ზირაქიშვილი, კალაძე
**განძევება:** დემეტრაძე
**მსაჯი:** მანუელ დე მელო პერეირა (პორტუგალია)


რა ექნა ასლანიძეს

უცებ ძნელიც კია იმის გახსენება, როდის გაიმარჯვა ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბოლოს. ჩვენიანთაგან ციდან ვარსკვლავების კრეფას არც ამჯერად ველოდით, მაგრამ გულის სიღრმეში იმედი მაინც გვქონდა. იმედი, სხვა თუ არაფერი, ღირსეული თამაშისა. არეცოს სტადიონზე ტიფოზთა მოზღვავება და მათი თავგამოდებული ქომაგობა არ დაგვეზ[illegible], ამდენი მაყურებელი ჩვენი ჩემპიონატის ზოგ მატჩზეც გვინახავს, ასე რომ, ახალგაზრდა ქართველები დიდ აურზაურს ნამდვილად არ შეუწუხებია. თუმცა...

დაიწყო თამაში და აშკარა გახდა, რომ ფსიქოლოგიურად მთლად ყოჩაღად ვერ ვიყავით. იტალიელებმაც, შინ თამაშობდნენ და შესაშინებელი რა ჰქონდათ, მაგრამ მათაც რიდით დაიწყეს. შეტევის წამოწყება პირველად ქართველებმა სცადეს. ქებაძე წინ გაიჭრა და ბურთი აშვეთიას მიაწოდა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. აი, ეს იყო და ეს, მერე კი ჩვენები ისე შეიბოჭნენ... წუთის შემდეგ ამბროზინისთან მოედნის შუაგულში მებრძოლმა მუჯირმა ბურთი დაკარგა, ამას მყის კამარატას გარღვევა მოჰყვა, რომელმაც 30-მეტრიანი რეიდით პირში ჩალაგამოვლებული დატოვა ჩვენი დაცვა და ასლანაძეს შორეულ კუთხეში გაუტანა. ეს მეექვსე წუთზე მოხდა და სწორედ აქედან დაიწყო ქართველთა რბევა არეცოში. ჩვენების შემდგომი ყოფა ზვარაკად გამზადებული საკლავისას თუ შეედრებოდა. შეტევის თავი ვის ჰქონდა, ოღონდ იტალიელთა სახიფათო იერიშებს გასძალიანებოდნენ რამენაირად. სანამ მომდევნო მოვლენებზე მოგახსენებდეთ, მანამდე საქართველოს ნაკრების, ჩვენი აზრით, არასწორ განლაგებაზე ვიტყვით. ჯერ ცენტრალურ მცველებზე მიუხედავად იმისა, რომ ხუჯაძემ, დავითნიძემ და კალაძემ დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვეს, მათთვის დაცვის შუაგულში მოქმედება უცხო ხილი ნამდვილად არ იყო. ლომიძის და გახოკიძის მარჯვენა და მარცხენა მცველობას კი არავინ ელოდა: გორელი თავის გუნდში საყრდენი ნახევარმცველია, გახოკიძეს მარჯვენა ნახევარმცველად ვიცნობთ. ამ ორმა საკმაოდ მოისუსტა და არც იყო გასაკვირი, კოკომ და ლოკატელიმ ფლანგებზე რომ აგვიკლეს. მაინცდამაინც არც ქებაძე იყო გამწესებული სასურველ ადგილზე. ცენტრალურ ნახევარმცველთაგან კიკნაძის დიდ სიჩქარეებს არც მანამდე ვიყავით ჩვეული, მაგრამ იტალიელებთან მან ყველაფერი დათმო, მუჯირს კი აშკარად ეტყობოდა, ტრავმის შემდეგ ჩვეული ფორმა რომ ვერ აღუდგინა და სათამაშო პრაქტიკა აკლდა. თავდამსხმელებს ვერას ვუსაყვედურებთ. მათ ერთი ნორმალური პასიც არ მიუღიათ, ფოცხვერია წამით არ გაჩერებულა, ყოველ წამს ბურთისთვის იბრძოდა, მაგრამ მოედნის ცენტრში თავის გამოდება რა ხეირია, თუ მეტოქის კარს არ მიუახლოვდი. აშვეთია კი, ფაქტიურად, უსაქმოდ დარჩა. ყველამ ვიცით, ქუთაისელი ფორვარდი საჯარიმოშია ძლიერი, მაგრამ იქ ჩვენებს არ შეუღწევიათ.

ქართველებს სულ ხუთმა იტალიელმა მოუგო. ამბროზინი, რივალტა, ლუკარელი, ტაკინარდი, კამარატა ჩვენს დაცვა-ნახევარდაცვას სისხლს უშრობდნენ. პირველი გოლის გაშვებიდან ჩვენებმა 6 წუთი გაძლეს. ამბროზინიმ იტალიელთა მორიგი კუთხურისას საჯარიმოდან გადმოგდებული ისევ იქ ჩააბრუნა. აქ ლუკარელი და კალაძე შეიბნენ, იტალიელი წაიქცა, მსაჯმა პენალტი დანიშნა. დაზარალებულმა ასლანაძე უშანსოდ დატოვა. 12 წუთში ორი ბურთის გაშვებამ ისედაც დაბნეული ჩვენი გუნდი მთლად დაშალა. იტალიელთა კარის მხარეს ბურთს თუ გადავაგდებდით, თორემ ზუსტი პასი სად იყო... მალე ფიორემ ჯარიმა დაარტყა და ასლანაძემ აიღო. 32-ე წუთზე კიკნაძემ მასპინძელთა კარის მიმართულებით პირველად და უკანასკნელად დაარტყა და ისიც აშვეთიას მოხვდა. ამასობაში იტა-[illegible]

[illegible]
ორეს მოწოდებულზე ლოკატელი და მ[...]
ჯირი ერთად ახტნენ და... ყველას გასაკ[...]
რად დათომ ხელით ითამაშა, არადა, ბურთ[...]
იტალიელსაც სცდებოდა. ლუკარელიმ ის[...]
უნაკლოდ დაარტყა პენალტი. ამის მერე პო-
რტუგალიელ არბიტრს, სულ ცოტა, ორჯ[...]
რაც შეეძლო ჩვენს კარში თერთმეტმეტრი-
ანის დანიშვნა, მაგრამ მანუელ დე მელო[...]
აშკარად შევეცოდეთ. როგორი სათქმელი[...]
მაგრამ ასე კი იყო: პირველ ტაიმში სამბ[...]
რთიანი სხვაობა „შევინარჩუნეთ". შესვენე-
ბისას დაარხეინებულ ტიფოზებს აღარ[...]
აღარღებდათ და უკვე გამარჯვებას ზეიმო-
ბდნენ. ჩვენ კი დანა პირს არ გვიხსნიდ[...]
წინ მთელი მეორე ტაიმი იყო...

გუცაევმა აშვეთია დაასვენა და დემეტ-
რაძე გამოიყვანა, მაგრამ ვერც ამით ვიხე[...]
რეთ რამე. ბურთი იტალიელთა საჯარიმო-
მდეც ვერ მიგვაქვს. იტალიელები კი იგე[...]
ბენ, მაგრამ მათი თავკაცი ჩეზარე მალდინ[...]
მაინც მოუსვენრადაა, თავისიანებს გამუ[...]
მებით მოძღვრავს. ჩვენები კი ისევ დაბნეუ-
ლები არიან. მოკლედ, მეორე ნახევარში
ისე იყო, როგორც პირველში: უსუსური ნა-
ხევარდაცვა, აურაცხელი შეცდომები დაც-
ვაში, მხოლოდ ფოცხვერია ცდილობს რამ[...]
მე ხეირიანის გაკეთებას და ისიც მცვე-
ლებს ეხმარება. გუცაევს მუჯირის ნაცვლ[...]
ზირაქიშვილი შემოჰყავს. რუსთაველმა ნა-
ხევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე დაიკ[...]
ადგილი, არადა, თავდამსხმელია და მ[...]
სამუშაო ვერ ემარჯვება. ლომიძემ ცენტრ[...]
გადაინაცვლა და კიკნაძეს შეეწყვილა. ამ[...]
ვერაფერი მოგვიტანა, პირიქით, დაცვაში [...]
მაშს უჩვევმა ზირაქიშვილმა ტაკინარდ[...]
ვერა მოუხერხა და საჯარიმოში ძირს [...]
სცა. ისევ პენალტი, რომელიც თავად და-
ზარალებულმა გამოიყენა. იმ წუთს მართლ[...]
შესაცოდი იყო ჩვენი მეკარე: დათომ ოთ[...]
კი გაუშვა, მაგრამ ბრალი არცერთში მი[...]
ძღვოდა, პირიქით, ამბროზინისა და ლუ-
კარელის დარტყმული ძნელი ბურთებიც მო-
იგერია. 55-ე წუთია, იტალიელები 4:0 იგ[...]
ბენ, მაგრამ მაინც არ ისვენებენ, ისევ [...]
ტევენ. ამასობაში გაჭირვებულს აღმართ[...]


დემეტრაძე მსაჯმა დაასვენა

მიწეული ქვისა არ იყოს, დემეტრაძე გ[...]
ვიძევს. მან თითქოს ბურთზე ითამაშა, [...]
გრამ კოკომ ისე გააფორმა... თუმცა, მა[...]
მდე იყო ერთი-ორი მომენტი, როცა დემე-
ტრაძემ წაიუხეშა და აკი მსაჯმა წითელ[...]
აუთრიალა, ამ ეპიზოდში კი, ჩვენი აზრ[...]
გიორგი ნაღდად არ ტყუოდა. მაგრამ მს[...]
ჯმა სხვაგვარად განსაჯა, თერთმეტნი [...]
ვიყავით, ათნი რას ვიზამდით და ლუკა[...]
ლიმ ხუჯაძესთან ბრძოლაში მახვილი [...]
თხიდან გაგვიტანა, მერე ლოკატელიმ მ[...]
ლი დაცვა მოატყუა, ზედ მეკარეც მიაყ[...]
და სხვაობა ექვსამდე გაზარდა.

დარჩენილ დროშიც მასპინძლები გვ[...]
ვდნენ. ჩვენებს ვერც იაშვილის გამოსვ[...]
უშველა. იტალიასთან წავაგეთო, იტყ[...]
მერე. იტალიელებთან ბევრად უფრო ძლ[...]
რებიც დამარცხებულან, მაგრამ ბრძოლ[...]
მონდომება მაინც უნდა ვეტყობოდე[...]
ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს აშკა[...]
აკლდა, ანგარიში უფრო კატასტროფულ[...]
შეიძლებოდა ყოფილიყო. ერთი სიტყვით, [...]
მარცხვინოდ წავაგეთ. არეცოში მხოლ[...]
მასპინძლებმა ითამაშეს, ჩვენები კი ცოდ[...]
ლობდნენ.


ტაკინარდის წაქცევას პენალტი და მეოთხე გოლიც მოჰყვა

# ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ

## მატჩამდე ექვსსაათნახევრით ადრე

„სარბიელის“ კორესპონდენტებს 8 და 9 ოქტომბერს ავტობუსით მთელი იტალიის გადასერვა-გადმოსერვა მოგვიხდა. სადაც გავიარეთ, ან თქეში იყო, ან ცრიდა, თუ სადმე მიწა მშრალი იყო, თავს ისეთი შავი ღრუბლები ეხურა, რომ ცხადი იყო, სულ მალე იქაურობაც გაიწუწებოდა. ახლა, ამ სტრიქონების წერისას, თამაშის დაწყებამდე ექვსსაათნახევრით ადრე პერუჯაში თითქოს გამოიდარა. მთაზე შეფენილი ქალაქიდან თხუთმეტი წუთის სავალში, სოფელ ხასტიაში გზის პირას მდგარ სასტუმრო „ლა ვილაში“, რომელიც რაღაცით დიღმის საწვრთნელ ბაზას ჩამოჰგავს, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები მატჩისწინა ბოლო საათებს ატარებენ.

— კარგი პირობები გვქონდა, კვებაც მოგვეწონა, ამინდსაც არა უშავდა, მაგრამ ორი დღეა, მოიღრუბლა. ბიჭები ჯანზე ვართ, არავინ დაშავებულა — გვითხრა კახი გოგიჩაიშვილმა.

— შაბათს მოლდოვა — იტალიის თამაშს ნახავდით...

— ვუცქირეთ. განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატზე გაცილებით ძლიერები იყვნენ.

— შენ ალბათ ამადეო კარბონის წინააღმდეგ მოგიწევს თამაში.

— ალბათ. იტალიის ნაკრებში ეს მალდინის და კარბონის ფლანგია, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ მათ განლაგებაში რაიმე შეიცვალოს.

დიმიტრი კუდინოვი უფრო თამამი მეჩვენა. შეშინებული არც გოგიჩაიშვილი იყო, მაგრამ კუდინოვის ხმაში, ჩემი აზრით, სითამამე მეტი იყო.

— მზად ვართ, მეც მზად ვარ.

— შენზე რომ იყოს, რა ამპლუას ირჩევდი?

— სადაც უნდათ, იქ მათამაშონ, ყველაფერს გავილებ.

— ტრავმა მოიშუშე?

— მტკივა ჯერ კიდევ, მაგრამ არც ისე, რომ თამაში ვერ შევძლო.

თემურ ქეცბაიას იტალიელთა კიშინიოვში ნათამაშები მოსწონებია. მზად ვარ თუ არა, დღეს საღამოს ვნახავთო.

— თემურ, უეფას თასზე, ბოლო შეხვედრაში შენ პენალტი ვერ შეაგდე...

— მეკარემ აიღო. პენალტი ჩემივე წაქცევისთვის დაინიშნა.

— დღეს რომ დაინიშნოს, დაარტყამ?

— დღეს ის დაარტყამს, ვინც იმ მომენტში ფსიქოლოგიურად მზად იქნება.

გიორგი ქინქლაძე თვლის, რომ „მანჩესტერ სიტის“ ბოლოდროინდელ გასაჭირს პირადად მის ფორმაზე არ უმოქმედია.

— გიორგი, რაღა დაგიმალო და, გსაყვედურობენ, რომ ბურთის წასართმევად ბრძოლა არ გიყვარს.

— ჩემი ამპლუა ისეთია, რომ კაცის აყვანა არ მევალება, მაგრამ ასეც არაა საქმე, ვინმემ ჩამირბინოს და იოლად გავატარო.

ფოიეში, ტელევიზორის წინ შეგროვებული ბიჭები ალექსანდრე ჩივაძის ვერდიქტს ელოდნენ. ჯერ არ იყო ცნობილი შემადგენლობა. სათამაშო გეგმაც ჯერ მხოლოდ ჩაფიქრებული ხელმძღვანელის გონებაში აზრის ფორმით არსებობდა.

## ვარდისფერი ფურცლებიდან შენატყობი

„გაძეტა დელო სპორტი“ „სკუარდა აზურას“ თემას წისქვილის ქვასავით ატრიალებს. საკი ცუდია? საკი კარგია? მოთამაშეებს საკი მოსწონთ, საკის კი ჯანფრანკო ძოლას ძირითადში თამაში გულზე არ ეხატება და გუშინდელ ნომერში მის ნაცვლად ამადეო კარბონის გაყვანას აცხადებდა, კარბონი მირჩევნიაო.

საქართველო? საქართველოზე ცალკე წერილია, სადაც ჩვენ ქვეყანას ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტულ სამოთხეს უწოდებენ. ამ მოკლე წერილში ნახავთ ყველაფერს, საქართველოს რუკას, მისი ცნობილი ფეხბურთელების ჩამონათვალს, ჩივაძის, ყიფიანის და ძმათა მათთა ვინაობას, ქართველ ფალავანთა ოლიმპიური მედლების ამბავს და იმასაც კი, რომ ჩვენს ეროვნულ სტადიონზე განათების გაუმჯობესებაა სასურველი.

„გაძეტა დელო სპორტს“ მეტოქეთა სავარაუდო შემადგენლობებიც უწერია, სადაც გოგიჩაიშვილი რატომღაც ლიბეროა, ცხადაძე მცველი თუ ნახევარმცველი, მასხავით, საპირისპირო ფრთაზე ლობჟანიძე განუწესებიათ, შუა მცველად კობიაშვილი და შელია ჰყავთ; ნახევარდაცვაში, მარცხნიდან გოგიჩაიშვილი-ქინქლაძე-ნემსაძე-ქეცბაიას მწკრივია, წინ — ყაველაშვილი, ვეჭვობთ, ასე იყოს.

რავანელი? ფაბრიციო რავანელი აქაურია, პერუჯელი. ქალაქის შესასვლელთან მძღოლმა ხელი ფერდობისკენ გაიშვირა და გვითხრა, აგერ, იმ მთაზე რამდენიმე სოფელს ხომ ხედავთ, რავანელი ერთ-ერთ მათგანიდან არისო.

რავანელი პრესაში თავის რაიონელებს ეფერება. საკი კი აცხადებს, ნაკრები მხნედაა და მთვარეზე სულაც არ დაფრინავსო.

## შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

### I ჯგუფი

#### ბოსნია — ხორვატია 1:4

**ბოსნია:** ომეროვიჩი, საბიჩი (ბეგიჩი 53), ბეშირევიჩი, კონიჩი (პინტული 69), კატანა, გეჩა, სმაიჩი, ბაჟდარევიჩი, ბოლიჩი, ტელიგოვიჩი (ჰალილოვიჩი 62), სალიჰამიჯიჩი

**ხორვატია:** ლადიჩი, იურჩევიჩი (სიმიჩი 43), იარნი, სოლდო, იერკანი, ბილიჩი (მამიჩი 83), ასანოვიჩი, ვლაოვიჩი (ცვიტანოვიჩი 87), შუკერი, ბობანი, ბოკშიჩი

**გოლები:** ბილიჩი (14), სალიჰამიჯიჩი (25), ვლაოვიჩი (32), ბოკშიჩი (63, 84)

ფიფამ სარაევოს სტადიონს უსაფრთხოება დაუწუნა და ყველაფრით გატანჯული ბოსნიელები იძულებულნი შეიქნენ, მსოფლიოს ჩემპიონატის სადებიუტო საშინაო მატჩი იტალიაში, ქალაქ ბოლონიაში ჩაეტარებინათ. „რენატო დელ არას“ სტადიონი, ფაქტიურად, ცარიელი იყო. ცხადია, იტალიელ გულშემატკივრებს ნაკლებად აინტერესებთ ყოფილი სამხრეთელი სლავების ჭიდილი. მაგრამ ბოსნიელებით სავსე ერთმა ავტობუსმა 22-საათიანი მგზავრობის შემდეგ მაინც ჩააღწია ბოლონიას.

ბოსნიელ ფანთა უმრავლესობა წინასწარვე შეგუებოდა მარცხს, მაგრამ თავსხმა წვიმაში მაინც ერთგულად უქომაგეს თავისიანებს. მათი აღტყინება დასაწყისშივე გაანელა ხორვატმა მცველმა სლავენ ბილიჩმა, ვინაც იმ მარჯვენა ფეხით გაუტანა ვეტერან მეკარე ფაჰრუდინ ომეროვიჩს, რომელიც წინა უიქ-ენდზე ასტკივდა და ერთხანს მატჩში მისი მონაწილეობა საეჭვოც იყო.

ჰასან სალიჰამიჯიჩს თერთმეტი წუთი დასჭირდა წონასწორობის აღსადგენად და ბოსნიელთა გულებში იმედმაც გაიელვა, მაგრამ გორან ვლაოვიჩმა ყოფილ თანამოძმეებს ესეც ჩაუკლა. მეორე ტაიმში კი იუვენტუსელი ალენ ბოკშიჩის ჯერიც დადგა — ჩემპიონთა თასის მფლობელმა ჯერ ჯარიმიდან გაიტანა, დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე კი ბოსნიელ მცველებს ჩაუქროლა და მარჯვენათი შეაგდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ხორვატია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| დანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სლოვენია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

### V ჯგუფი

#### ლუქსემბურგი — ბულგარეთი 1:2

**ლუქსემბურგი:** კოხი, ვანეკი, დევილი, ბირსენი, შტრასერი, სებენი (ტილი 81), ელერი, ვაისი, ლენჟერი, კარდონი (ტაი 28), პოსინგი (განსერი 46)

**ბულგარეთი:** მიხაილოვი, ანტონოვი (ვასილევი 46), ტ. ივანოვი, ცვეტანოვი, კიშიშევი, იანკოვი, კოსტადინოვი, ხრისტოვი (ვიდოლოვი 46), ლეჩკოვი, ბალაკოვი, გ. ივანოვი (ბორიმიროვი 61)

**გოლები:** ბალაკოვი (14 პ), ლანჟერი (20), კოსტადინოვი (37)

ბულგარელები ზუსტად ერთ საათში, ანუ მე-60 წუთზე ათნი დარჩნენ: შეცვლაზე შემოსულმა ივან ვასილევმა გი ელერი მოცელა და ამისთვის მოედნიდან მიაბრძანეს. ამის შემდეგ ლუქსემბურგი ინიციატივას დაეუფლა, მაგრამ მეკარე ბორისლავ მიხაილოვმა სამი უძნელესი ბურთი აუღო ლანჟერს, შტრასერს და ელერს.

მანამდე კი, ისრაელთან პირველ მატჩში დამარცხებული ბულგარეთი მე-14 წუთზე დაწინაურდა: კოსტადინოვის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი კრასიმირ ბალაკოვმა გაიტანა. ექვს წუთში რობი ლანჟერი ბულგარელთა კარიდან ათ მეტრში აღმოჩნდა და შანსი ხელიდან გაუშვა. სლავებს, აგერ უკვე მერამდენედ, მხსნელად მოევლინათ ემილ კოსტადინოვი, რომელმაც კარგად გამოიყენა იორდან ლეჩკოვის პასი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ისრაელი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

### სამხრეთ ამერიკა

#### ურუგვაი — ბოლივია 1:0

**ურუგვაი:** სიბოლდი, სანგუნეტი, ერერა, მონტერო, მენდესი, სედრესი, სარალეგი (გუტიერესი 81), პოიეტი (რომერო 61), ფრანჩესკოლი, ოტერო (ბენგოჩეა 79), ფონსეკა

**ბოლივია:** ტრუკო, ხ. კასტილიო, სანდი, პენია, კრისტალდო, სანჩესი, სორია (ტუფინო 34), ბალდივიესო (კოიმბრა 69), მელგარი, მორენო, რ. კასტილიო

**გოლი:** პენია (62, საკ. კარში)

ურუგვაიმ ბოლო ორი შესარჩევი მატჩი წააგო და ახლა მოგება ჰაერივით სჭირდებოდა. მწვრთნელმა ექტორ ნუნიესმა გუნდის გასაძლიერებლად 35 წლის ვეტერან ენცო ფრანჩესკოლისაც უხმო. ბოლივია, რომელმაც მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის საგზური სწორედ ურუგვაის აცალა, პირველად თამაშობდა ახალი მწვრთნელის, ესპანელ ანტონიო ლოპესის წინამძღოლობით.

70 ათასი მაყურებლის მხარდაჭერით გამხნევებულმა ურუგვაელებმა თავიდანვე შეუტიეს და ბოლივიელები ერთობ შეავიწროვეს. მაგრამ ბედმა დანიელ ფონსეკასა და მარსელო ოტეროს ზურგი შეაქცია და სტუმართა მეკარის კარლოს ტრუკოს მხარი იჩია. ვეტერანი ბოლივიელი შესანიშნავად ასწორებდა მცველთა უხეშ შეცდომებს.

ურუგვაელებმა ამ დღეს მაინც ვერ მოახერხეს გოლის გატანა. სანაცვლოდ, ეს ბოლივიელმა მცველმა ხუან მანუელმა პენიამ შეძლო. მასპინძელთა მორიგი შეტევის დროს აღელვებულმა პენიამ თაური გაიტანა საკუთარ კარში. ასე ჩაიყარა წყალში ტრუკოს გმირული გარჯა.

მასპინძელთაგან შეცვლაზე გამოსულმა ლუის რომერომ დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი გაიტანა, მაგრამ თამაშგარედან. მანამდე კი ბოლივიელმა მცველმა სერხიო კასტილიომ მეორე ყვითელი მიიღო და თამაშიც მიატოვა.

ამ ტურის დანარჩენი მატჩები ვენესუელა — არგენტინა, ეკვადორი — კოლუმბია და პარაგვაი — ჩილე გვიან დამთავრდა.

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

### I ჯგუფი

**ბოსნია 3:1 ხორვატია**

გოლები: უსჩუპლიჩი (29 პ, 38), გრანოვი (68); ვუგრინეცი (46)

### II ჯგუფი

**ინგლისი 0:0 პოლონეთი**

### III ჯგუფი

**ნორვეგია 4:1 უნგრეთი**

### IV ჯგუფი

**ესტონეთი 0:1 შოტლანდია**

გოლი: ჰამილტონი (31)

**შვედეთი 4:1 ავსტრია**

გოლები: პერსონი (19 პ), ლენგრენი (22, 30), პეტერსონი (41); მიჰუ (90)

### V ჯგუფი

**ისრაელი 1:0 რუსეთი**

გოლი: დერი (37)

### VI ჯგუფი

**ჩეხეთი 1:2 ესპანეთი**

### VII ჯგუფი

**სან მარინო 1:5 ბელგია**

გოლები: მვენზა (12); დე ლუიჯი (22 პ), ბასეჯო (48, 87), უბარი (65), ვანშუდტი (85)

### VIII ჯგუფი

**ირლანდია 4:0 მაკედონია**

გოლები: ფოლი (32), კარი (72), კანდი (86, 88)

## სტივ კოპელი: მარტო ქინქლაძით ფონს ვერ გავალთ

გუშინწინ „მანჩესტერ სიტის“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა სტივ კოპელმა თავის პირველ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: „ქინქლაძის თამაში არ მინახავს. ველოდები მის დაბრუნებას, რათა საკუთარი თვალით ვიხილო, როგორია იგი მინდორზე. მაგრამ, ვეჭვობ, ფეხბურთი მხოლოდ ერთი კაცის თამაში იყოს და მარტო მისით შევძლოთ ფონს გასვლა. ქინქლაძეს ძლიერი პარტნიორები სჭირდება. ამჟამად, ჩემს განკარგულებაში ხუთი მილიონია ახალი მოთამაშეების შესაძენად. ამდენად, ფეხბურთელების გაყიდვით ფულის შოვნის საჭიროება არ არის: „სიტის“ ქომაგებს ვთხოვ, ცოტა მაცადონ და მოითმინონ. ძალიან მალე ყველაფერი ისეთი გეზით წავა, როგორც მათ და ჩვენ გვსურს.“

## საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩები

### ასკ 4:1 კახეთი (2:2)

ასკ: ბიწაძე, პაპუაშვილი, ელისაშვილი (მ. ღვინიაშვილი 74), მაისურაძე, გველესიანი, სუხიტაშვილი, მონასელიძე (პოზოიანი 80), ტარიელაშვილი, აფციაური, დობორჯგინიძე, გოგოლაძე (სულაძე 88)

კახეთი: ბეწუკელი, ჭიჭუა (ლობჟანიძე 46), ათუაშვილი, წიკლაური, ნაკუდაიძე, ჭვრიტიძე, ტარულაშვილი, ბოჭორიშვილი, ნონიკაშვილი, ბაბულაიძე, ღვინიაშვილი (ცირეკიძე 88)

1:0 მონასელიძე (23), 2:0 დობორჯგინიძე (44), 3:0 გოგოლაძე (77), 3:1 ბაბულაიძე (85 პ), 4:1 ტარიელაშვილი (89)

გაფრთხილება: ათუაშვილი

გაძევება: ათუაშვილი (მეორე გაფრთხილებისათვის)

მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

შედეგმა არ გაგაოცოთ. სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით იგი ლოგიკურია. თამაშის წინ ფინანსური პრობლემების გამო „კახეთის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯემალ მახარაშვილმა თანამდებობა დატოვა და უმწვრთნელოდ დარჩენილი „კახეთი“ გუნდის უფროსმა გოჩა როსტომაშვილმა გამოიყვანა. თავად ეს გამოყვანაც სათუო გახლდათ. ფეხბურთელებს ხელფასებისა და პრემიების აღების იმედი გადაეწურათ და თამაშზე გასვლას არ აპირებდნენ. შალამბერიძემ, მამისაშვილმა და ჯაშიაშვილმა სწორედ ამის გამო არ ითამაშეს, დანარჩენები კი ბოლო წამსლა დაიყოლიეს. ამას დაუმატეთ შონიას ტრავმა, ახალგაზრდულ ნაკრებში გაწვეული ასლანაძე და II ჯგუფელთა გამარჯვება აღარ გაგაკვირვებთ. თელაველმა მოთამაშეებმა დანანებით მითხრეს შეხვედრის შემდეგ, ამხელა კახეთში ერთი გუნდის შასანახი თანხა ვერ მოძებნეს, მდგომარეობის გამოსწორების იმედი აღარა გვაქვსო. მათივე თქმით, „კახეთი“ დაშლის პირას არის. მოთამაშეთა ნათქვამი მხოლოდ სიტყვები რომ არ იყო, ამას თავადაც მივხვდი.

მოკლედ, ასეთ უსაშველო ვითარებაში შეხვდა „კახეთი“ საპასუხო შეხვედრას. რაც შეეხება მასპინძლებს, მათ კაპიტანი კახა ამირიძე და ცენტრალური მცველი სერგო გულაშვილი აკლდათ. ამის მიუხედავად, არმიელებს გამარჯვება არ გასჭირვებიათ. მასპინძლებმა წარმატებას ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ჩაუყარეს საფუძველი, როცა მონასელიძემ და დობორჯგინიძემ ორი გოლი გაიტანეს. მეორე ტაიმში თელაველები გააქტიურდნენ და ძალზე მწვავედაც შეუტიეს. განსაკუთრებით ვეტერანი გოჩა ჭვრიტიძე აქტიურობდა, რომელსაც მენისკის გამო ერთი წელი გაუცდა. ერთ ეპიზოდში გოჩა ხუთ მცველს გასცდა და კარში უძლიერესად დაარტყა, თუმცა არმიელთა მეკარე ბიწაძემ მშვენიერად ითამაშა. მეორე ტაიმის დასასრულამდე 13 წუთით ადრე გოგოლაძემ უმშვენიერესი გოლით კახელებს ყოველგვარი იმედი გადაუწურა. არმიელთა თავდამსხმელმა მოედნის მარჯვენა ფლანგიდან შუაგულისკენ გადაინაცვლა, გზად ხუთი მეტოქე ჩამოიცილა და მიზომილ დარტყმით ბურთი ცხრიანში გაახვია. მანამდე კი თელაველთა კაპიტანი თაუაშვილი მსაჯმა შეკამათებისთვის ჯერ გააფრთხილა, შემდეგ კი გააძევა, ამან კი არბიტრს პასუხად ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა. ამის შემდეგ „კახეთს“ გამარჯვების ყოველგვარი იმედი გადაეწურა, ტარიელაშვილმა კი ბოლო წუთზეც გაუტანა სტუმრებს გოლი.

**მერაბ მამულაშვილი**

### ლოკომოტივი 1:2 ივერია

ლოკომოტივი: ჩიქვინიძე, ბუხრიკიძე, ქვარცხავა, ბარნოვი, წიქარიშვილი (ყანჩაშვილი 25), ზაქარიშვილი, გ. პეტენაძე (ჩიგოშვილი 75), ძაბირაძე, მაზანაშვილი, ვასაძე (მიზანდარი 65), მოსულიშვილი

ივერია: გოგილაძე, ნეკერაშვილი, შ. ლაცაბიძე, ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (მ. ლურსმანაშვილი 55), ტყემალაძე, ჩიდუნელი (ზირაქაძე 84), კალმახელიძე, წივწივაძე, თორია (გლეჩაძე 85)

0:1 კალმახელიძე (64), 1:1 ქვარცხავა (70), 1:2 წივწივაძე (84)

გაფრთხილება: ხარაზიშვილი, ბუხრიკიძე, ლურსმანაშვილი

მსაჯი: ს. შალამბერიძე (თბილისი)

მეთექვსმეტედფინალის პირველი შეხვედრა ხაშურში ფრედ 0:0 დასრულდა, ამიტომ, ბუნებრივია, საპასუხო მატჩში გოლების გატანა ორივე მხარეს სჭირდებოდა. ყველასათვის მოულოდნელად, შეხვედრა უხეირო სანახავი გამოდგა. შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს ფეხბურთელებს მოძრაობა ეზარებოდათ, ტემპიც საშინლად ნელი, არათანამედროვე გახლდათ. და მაინც, პირველ ნახევარში სტუმარ-მასპინძლებმა საგოლე მომენტები გაცვალეს. ბურთის გატანა ლოკომოტიველ თავდამსხმელ მოსულიშვილს, სულ მცირე, ორჯერ შეეძლო, მაგრამ მას ან გოლის გატანა არ სურდა, ანაც ოსტატობა არ ეყო თანაგუნდელთა გასახარებლად. მომენტი ვასაძესაც შეუქმნა ძაბირაძემ, მაგრამ თბილისელის დარტყმული ბურთი ხაშურელთა წაქცეულ მეკარეს მოხვდა და კუთხურზე გადავარდა. სტუმრებმა ამას ორი სახიფათო დარტყმით უპასუხეს. პირველად წივწივაძის თაურს მასპინძელთა გოლკიპერი უხეიროდ დახვდა, ბურთი ხელიდან გაუვარდა და ლამის კარში შევორდა. მეორედ ჩიქვინიძემ ივარგა — წივწივაძის ახლოდან დარტყმული მოიგერია. პირველ ნახევარში მცირედი სათამაშო უპირატესობა „ლოკომოტივის“ მხარეს იყო.

მეორე ტაიმში გუნდებმა ტემპს უმატეს. დასაწყისშივე მაზანაშვილი გაექცა ხაშურელ მცველებს და მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ააცილა. ხაშურელებმა რომ ნახეს, მასპინძლები გოლის გამტანები ნამდვილად ვერ არიანო, ლოკომოტიველთა საჯარიმოს გაუშინაურდნენ. თანაც, თბილისელი მცველები ერთობ სცოდავდნენ. იმის ნაცვლად, კაცს გაჰკიდებოდნენ, თანამსაჯს არარსებული თამაშგარეს დაფიქსირებას სთხოვდნენ. აკი დაისაჯნენ კიდეც. ერთმანეთთან კამათში და მსაჯის ყურებაში გართულებს ხაშურელი კალმახელიძე გაეპარათ, მან კი შანსი ხელიდან არ გაუშვა და ჩიქვინიძეს შორეულ კუთხეში გაუტანა. ამან მასპინძლები ცოტა გამოაფხიზლა და რახან თავდამსხმელები არ ვარგოდნენ, მცველმა ქვარცხავამ გამოიდო თავი: ძაბირაძესთან კედელი გაითამაშა, საჯარიმოში მცველებს გაუსხლტა და მარჯვნიდან, საკმაოდ მახვილი კუთხიდან ალოგიკური გოლიც გაიტანა. „ლოკომოტივს“ დრო საკმაო ჰქონდა, თამაშის ბოლომდე ოცი წუთი იყო დარჩენილი, მაგრამ რად გინდა, მასპინძლებს აშკარად ეტყობოდათ, რომ თამაშის იშტაზე ვერ იყვნენ. თანაც დაცვამ მეორედ შესცოდა: ისევ თამაშგარს ცდილობდნენ, მაგრამ შეცდნენ და წივწივაძემ დასაჯა. საე გავიდა „ივერია“ მერვედფინალში.

**მამუკა კვანტალიანი**

### მორკინალი 3:3 გორდა

მორკინალი: გუგუნავა, ხევსურიანი (თოლორდავა 63), ბოსტოლანაშვილი, ვაშაკიძე, ლაპიაშვილი, აბაზაძე, კაპანაძე, ალავიძე (ნადირაძე 50), დვალიშვილი, გოჩაშვილი, კორძაძე (აუშტროვი 63)

გორდა: კოროშინაძე, ხუჯაძე, ბექაური, პატარიძე, სახვაძე, გაბელაია, მელაძე, არსოშვილი, ჯელაძე, მენთეშაშვილი (კედელაშვილი 61), ლაბაძე (მუშკუდიანი 61)

0:1 მელაძე (27), 0:2, 0:3 პატარიძე (30, 40), 1:3 დვალიშვილი (45), 2:3 ვაშაკიძე (64), 3:3 კაპანაძე (80)

გაფრთხილება: მელაძე

მსაჯი: გ. ასკარ-ოღლი (ქარელი)

„მორკინალის“ მინიმალური ანგარიშით მოგებაც აძლევდა ხელს, რადგან უფროსი მეტოქის დასამარცხებლად და პირველივე წუთიდან შეუტია რუსთაველთა კარს, მაგრამ ლაპიაშვილის სახიფათოდ ჩამოწოდებულ კუთხურებს დასჯერდა, რომლებიც მისმა თანაგუნდელებმა ვერ გამოიყენეს. კორძაძის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა კაპანაძემ სახიფათოდ კი დაარტყა, მაგრამ ბექაურმა თავით იხსნა კარი. ამის მერე კი ულამაზესი გოლების სეტყვა წამოვიდა: ჯერ პატარიძემ მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა და მელაძემ მაკრატელათი შეაგდო, ამას მოჰყვა ლაბაძის პასი, რომელიც პატარიძემ მკერდით ჩამოიღო და ისე გაიტანა, მესამე გოლზე კი პატარიძემ, სახვაძის პასი რომ მიიღო, საჭირო პაუზა გააკეთა და ნელა შეაგდო კარში. „მორკინალს“ დასაკარგი რაღა ჰქონდა, თავგანწირვით შეუტია და აკი დაუფასდა: კორძაძემ ფაქტიურად დაკარგულ ბურთს ბოლომდე მისდია და ერთი შეხებით ჩააგდო საჯარიმოში, სადაც დვალიშვილმა ერთი შეხებითვე ლამაზად გაიტანა. მეორე ტაიმმა მთლიანად „მორკინალის“ შეტაკებაში ჩაიარა. „გორდა“ შიგადაშიგ კონტრშეტევებით პასუხობდა. მალე კორძაძემ უხეიროდ გაიგდო ბურთი და კოროშინაძემ მასთან პირისპირ გასულ სტუდენტ თავდამსხმელს ფეხიდან ააცილა. იქვე რუსთაველთა კონტრშეტევისას პატარიძემ ოცდაათ მეტრიდან ძლიერად დაარტყა — ხარიხა, დაბრუნებულ ბურთს არმაზ ჯელაძემ თაური მიაყოლა — მეკარე გუგუნავამ ოდნავ შეუცვალა მიმართულება და — ძელი. არ გასულა წუთი, რომ ნადირაძის კუთხური აბაზაძემ თავით ჩააგდო „გორდა“ საჯარიმოში, კაპანაძემაც თაურითვე შეუცვალა მიმართულება და ვაშაკიძემ მესამე თაურით კარში მიუჩინა ადგილი — 2:3. სტუდენტები უფრო გააფრდნენ და აბაზაძესა და ლაპიაშვილის დიდი მონდომების წყალობით კიდევ გაიტანეს: ისევ აბაზაძის გასვლით მარცხენა ფრთაზე, პასი საჯარიმოში და კაპანაძის თაური — 3:3! სტუდენტებმა დარჩენილ ათ წუთშიც იაქტიურეს, მაგრამ იასონ ალადაშვილმა გონივრულ შეცვლებით და ტაქტიკური გადაადგილებით მისთვის ხელსაყრელ შედეგს მიაღწია. სხვისი არ ვიცი, მაგრამ სტუდენტთა თავდადებამ ნამდვილად გამაოცა, ამ თამაშით „მორკინალი“ მართლაც პირველი ჯგუფის ღირსია...

**მამუკა კვარაცხელია**



# პრეზიდენტის საპატიო „არა“

მერაბ ჟორდანიას ადრეც ხშირად უწევდა უცხოეთში ყოფნა, მას მერე კი, რაც უეფას პროფესიული ფეხბურთის კომიტეტში აირჩიეს, ალბათ მართლაც ჰაერში იქნება გამოკიდებული: კომიტეტის სხდომებს საერთაშორისო მატჩებზე უეფას დელეგატის რანგში მივლინებაც დაემატა. ჰოდა, აკი ისე დაუდგა საქმე, „დინამოს“ თამაშების ხშირად გაცდენაც კი მოუწევს. პირველი ამგვარი საპატიო გაცდენა „დინამო“ — „ბოავიშტაზე“ ექნება.

— რამდენიც არ ვეცადე, არაფერი გამოვიდა, 15 ოქტომბერს ჩვენი კომიტეტის სხდომაა და ჟენევაში უნდა ვიყო. „დინამოსაც“ იქიდან ვუქომაგებ.

**— კვირაზე მეტი იმყოფებოდით უეფას შტაბ-ბინაში...**

— სხდომის მასალებზე ვმუშაობდი. სხდომის დღის წესრიგში შვიდი საკითხია, მათ შორის მთავარი, ბუნებრივია, ბოსმანის საქმეა. მე უკვე შემუშავებული მაქვს ჩემი მოსაზრებანი ამ საკითხებზე.

**— ახლახან უეფამ „დინამო“ ხუთი ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა, არადა, მოსკოვში გაფრთხილებათა უმრავლესობა, ფაქტობრივად, არაფრის გამო მივიღეთ.**

— სამწუხაროდ, მე გვიან გავიგე ჯარიმის ამბავი და შესაბამისი რეაგირება ვერ მოვასწარი, თორემ, ვფიქრობ, რაღაც შეღავათს მივაღწევდით. ახლა კი გადახდა მოგვიწევს.

**— ახლა „ბოავიშტასთან“ მატჩზე ვთქვათ. მეტოქეზე ახალი ხომ არაფერი იცით?**

— მათი წარმომადგენლები აღარ მინახავს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენი ევროპელი მეგობრების დახმარებით „ბოავიშტას“ „ოდენსესთან“ შეხვედრის ვიდეოფირი ჩავიგდეთ ხელში.

**— თქვენი პროგნოზი...**

— ჯერ კიდევ მაშინ მჯეროდა ყოფიანის და ამ გუნდის, როცა ყველანი სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი, ასე რომ, ჩემი პროგნოზი იოლი მისახვედრია.

**— როდიდან გაიყიდება ბილეთები ამ მატჩზე და რა ღირება?**

— ბილეთები დღეიდან იყიდება, ფასი, ადგილების მიხედვით, 3, 4 და 5 ლარია.

**— „ტორპედოსთან“ რამდენი ბილეთი გაიყიდა?**

— იმ თამაშზე, თავად ნახეთ, 60 ათასზე მეტი თუ არა, ნაკლები ხალხი არ იყო, მაგრამ ბილეთი სულ 26 ათასამდე გაიყიდა.

**— ამ მატჩისთვის რამდენი ბილეთი გაამზადეთ?**

— ჩვენ კი გავამზადეთ 65 ათასი, მაგრამ რამდენი გაიყიდება, ალბათ, არ უნდა დიდი მიხვედრა, წინა თამაშების მწარე გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ.

**— გავიგეთ, „ბოავიშტასთან“ ახალი ფორმით გამოდიხართ.**

— თეთრი მაისურებით და ცისფერი ტრუსებით, ჩვენი ტრადიციული ფორმით.

**— იქამდე კი დიდი დროა, მაგრამ პორტუგალიაში გამგზავრების თადარიგი აქედანვე გექნებათ დაჭერილი.**

— პორტუგალიაში 27 ოქტომბერს გავემგზავრებით, თამაშამდე ორი დღით ადრე, რაკილა თბილისიდან პორტუმდე ჩარტერულ რეისს 7 საათზე მეტი სჭირდება, ეს — თუ პირდაპირი რეისი იქნა. თუ ფრანკფურტში ან სადმე საწვავის შესავსებად შევჩერდით, მაშინ ერთი-ორი საათიც დაუმატეთ. ჩარტერი, მოგეხსენებათ, ძვირი სიამოვნებაა და ახლა ვეძებთ საშუალებებს, იქნებ იაფი ვარიანტი გამოვძებნოთ.

**— ვინ იმსაჯებს პირველ მატჩს?**

— ბელგიელი მანიქს სანდრა.

**— მოკლედ, ოპტიმისტურად ხართ განწყობილი...**

— შვეიცარიაში კი არა, სადაც უნდა ვიყო, ჩემი ბიჭების იმედი ყველგან მექნება...

**მამუკა კვარაცხელია**

# ბულგარეთში რუსეთზე გავლით

ოქტომბერი ნამდვილი სანაკრებო ფაციფუცის თვეა. ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებთან ერთად მომავალი ბრძოლებისთვის 18 და 16 წლამდე ჭაბუკებიც ემზადებიან. 18 წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის შეხვედრებს ბულგარეთში გამართავს. 15 ოქტომბერს ჩვენები ბულგარელებს შეხვდებიან, 19-ში — სომხებს. ნაკრები საბულგარეთოდ დიღმის ბაზაზე ემზადება. მთავარმა მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა 16 მოთამაშე გამოიძახა: მეკარეები — ზურაბ ბათიაშვილი („უგუნდო“), გიორგი ლომაია („დინამო-2“), ზურაბ აიანიდი („ოლიმპია“, ხობი), შოთა ჩომახიძე, დათო პეტრიაშვილი („სამტრედია“), რატი ალექსიძე, გიორგი კვარაცხელია, მამუკა წერეთელი („დინამო“), შალვა მუმლაძე, გიორგი შენგელია („ტორპედო“ ქუთაისი), კლიმენტი წიტაიშვილი („ოდიში“ ზუგდიდი), ზურაბ მენთეშაშვილი („ვაკე-91“ თბილისი), გოგა ფარქოსაძე („არმინია“ ბილეფელდი).

ბულგარეთამდე კოპალეიშვილის ნაკრებმა ერთი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა — 7 ოქტომბერს თბილისის 35-სტუ-ს 3:1 სძლია. 11 ოქტომბერს კი გუნდს მართლაც ძლიერ სპარინგთან ელის საკუთარი ძალების შემოწმება — მცხეთაში, 3 საათზე, რუსეთის 1979 წელს დაბადებულ ბავშვთა ნაკრებს ეთამაშება. 12 ოქტომბერს ნაკრები მოსკოვს გაფრინდება, იქედან კი სოფიას გაემგზავრება.

# წავა გიორგი პერუში?

საფეხბურთო სკოლა „ვაკე 91“-ის დირექტორის ზაზა დიდებაშვილისა და ამავე სკოლის მწვრთნელის გურამ პავლიაშვილის თაოსნობით წელს მეორედ ჩატარდა აფხაზეთში გმირულად დაღუპული მამაშვილის შუქრი და ზურაბ ანჩაბაძეების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, რომელშიც 3 ასაკობრივ ჯგუფში განაწილებული 20 გუნდი მონაწილეობდა. ამჯერად თბილისის გუნდებს გორისა და გურჯაანის ფეხბურთელებიც ეპაექრებოდნენ. 1983 წელს დაბადებულებში ყველას „ვაკე 91“-მა აჯობა, მეორე ადგილზე „მთვარის გლობუსი“ გავიდა, მესამეზე — „ავაზა“. 1984 წლიანებში საუკეთესონი „ვაკე 91“, „დინამო“ და 35-ე სკოლა იყვნენ. 1985 წლიანებში კი პირველობა არავის დაუთმო „ელექტრონმა“. დინამოელები მეორენი იყვნენ, ხოლო მთვარის გლობუსელები მესამე ადგილზე გავიდნენ.

ალბათ გახსოვთ, აგვისტოში დანიიდან დაბრუნებულმა „დანა-კაპზე“ რომ ვიამბეთ, ჩვენი 11 წლის გიორგი დათუნაიშვილის თამაშმა პერუელთა ამავე ასაკის გუნდის მწვრთნელის ედუარდო სალას პულის ცხოველი ინტერესი რომ გამოიწვია, ისიც გაუწყეთ. თბილისში დაბრუნებულმა გიორგის ოჯახი მოვნახე და პერუელი მწვრთნელის დანაბარები სიტყვიერადაც გადავეცი. ახლა ისეა საქმე, ჩვენი ნიჭიერი ბიჭი მართლაც შეიძლება იანვარში პერუში აღმოჩნდეს სამი-ოთხი თვით. წარმოგიდგენიათ, 11 წლის ლეგიონერი? აბა, რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ პერუში გიორგი მარტო ფეხბურთში არ მოუმატებს და თუ



გიორგი დათუნაიშვილი

ავანსები გაამართლა, ედუარდოს ამბავი რომ ვიცი, არც ოფიციალური კონტრაქტია მოულოდნელი. თუ გიორგი მართლა გაემგზავრა პერუ, პირობას გაძლევთ, ევროპელ ლეგიონერებზე ნაკლებად არ შეეხმიანებით ინკების ქვეყანაში.

გიორგი კი ჯერჯერობით „ვაკე 91“-ში ვარჯიშობს და ანჩაბაძეების ტურნირზე ხუთი გოლიც შეაგდო...

**მამუკა კვარაცხელია**

# რით მჯობია რომარიო...

ერთი წელია, ჩვენი პოლიციის შიშით თბილისის ცაზე ფრინველი ვერ გადაფრენილა და ასფალტზე ჭიანჭველას ვერ გაუვლია. „ბუნტოვშჩიკებიც“ აღარსად ჩანან, ჰოდა ქართველმა პოლიციელებმაც თავისუფალი დრო იხელთეს და ბურთაობა გააჩაღეს. ერთი-ორი თამაში რომ მოიგეს, იფიქრეს, მოდი, ერთი ამ კალამმოღერებულ მედიასაც გადავწვდეთ და თუ მოვუგებთ, ხომ საქვეყნოდ მოვჭრით თავსო. ჰოდა, ლამაზ წითელ ფორმაში (სპორტულში) გამოწყობილნი „სუკონკის“ სტადიონზე გველოდნენ. ჩვენი ჟურნალისტთა შემადგენლობა ისეთივე ჭრელი იყო, როგორიც ფორმა. კოლეგებმა კაპიტნობა და მწვრთნელობა მომანდეს — გამოცდილი კაცი ხარ, ელკიაერი უშენოდ ვარჯიში რაა, იმასაც აღარ ატარებს და რამეს გასწავლიდაო. წავუძეხი თანამოკალმეებს მინდვრის ცენტრისკენ და რას ვხედავ — გელა კეტაშვილი! ილია რუხაძე! ეს სულაც პოლიციელთა გუნდის თავკაცი გახლდათ. დაიწყო თამაში და, ჩემი ბედი რა ვთქვი; მაინცდამაინც ოლიმპიურ ჩემპიონთან ჭიდილმა მომიწია. ამან რომარიო დაკეტა და მე რა დღეს დამაყრიდა... მოკლედ, ფეხი არ გამანძრევინა. აქეთ მთელი პოლიცია გვიტევდა, მაგრამ ჩვენი გოლკიპერი მამუკა კვანტალიანი ქვაზე მაგრად დაუხვდა, ეგ იყო, პენალტი ვერ გამოიყენა, თორემ ძირითად დროში მოვიგებდით და ამ წერილის სიდიდე და პათოსი მაშინ გენახათ. სხვა ჩემი თანამოკალმენიც, თენგიზ პაჭკორია, ბექა ბალარჯიშვილი, ლაშა კაკუბავა, ირაკლი ბერულავა ტყავში ძვრებოდნენ და პოლიციელებს არ აზარებდნენ. ვალიკო გენგიურის ბიჭს, ზურას, ფოტოაპარატი მიეგდო და პოლიციელთა ყოჩს, „იასონად“ წოდებულ ლომივით მაიორ კვირკველიას ხან წინ აესვეტებოდა, ხან უკან, იმდენი ქნა, ლამის მინდორზევე დააჭერინა თავი. ერთი სიტყვით, ძირითადი დრო ფრედ, 0:0 დავამთავრეთ. პოლიციამ — „ოქროს გოლამდე“ ვითამაშოთო. ქვა ავაგდე — დავილალე და პენალტები დავარტყათ-მეთქი (კვანტალიანის იმედი მქონდა). კარგა ხნის ხვეწნის მერე პოლიციამ თხოვნას თავი დაანება და... ციხეში არ ჩამსვან სპორტული აფერისტობისთვის-მეთქი, გავუძეხი გუნდს დამატებითი დროის სათამაშოდ. თუმცა მალევე „იასონამ“ ჩხინკი, მაგრამ „ოქროს გოლი“ გაიტანა და ჩვენს ტანჯვას ბოლო მოუღო. პოლიციამ თავისივე ნაყიდი თასი ნივთმტკიცებასავით ჩაიბარა, ჩვენ კი კალმები ჩამოგვირიგეს, რომლითაც ეს სტატია დავწერე. კვანტალიანს იქვე ქრთამი შეაძლიეს, ჩვენსა წამო, პრეს-ცენტრში გაგაფორმებთ და კარშიაც ჩაგაყენებთო, მაგრამ ამან შორს დაიჭირა: „სარბიელში“ მუშაობა მირჩევნია ჩინ-მენდლებსაო...

ისე, ხუმრობა იქით იყოს და, პოლიციელებმა კარგადაც ითამაშეს და ჯენტლმენობის მაგალითიც გვიჩვენეს. ახლა ჯერი ჩვენზეა — „დინამო“ — „ბოავიშტას“ მერე რევანში უნდა ავიღოთ. ჩვენ პირველარხელი ლაშა დვალიშვილით გავძლიერდებით, იმათ კი, ვშიშობ, შალვა ბაძგარაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, დათო მუჯირი და გურამ პეტრიაშვილი არ დაიმატონ...

–მოხუც მოლა ნასრედინს უთქვამს, ახლაც ის ჯანი მაქვს, როგორც ახალგაზრდობაშიო. რათაო, უკითხავთ. ჩემს ეზოში რომ დიდი ლოდი გდია, ვერც ახლა ამიწევია და ვერც ჭაბუკობაში ვწევდიო. ამ ლოგიკით, კეტაშვილი ვერც რომარიომ დასჯაბნა და ვერც მე, ესე იგი, მე და ის ჩემი კბილა ბრაზილიელი თანაბარი დონის მოთამაშეები ვყოფილვართ...

დაუმარცხებელი (ძირითად დროში) მედიის კაპიტანი
**მამუკა კვარაცხელია**

# მე კი წამოსვლა მინდოდა

შოთა ჭეიშვილმა ძალიან გამაოცა. „ეინდჰოვენთან“ შეხვედრის წინ სულ იმის ფიქრში, უფრო სწორად, შიშში ვიყავი, ნეტავ რა იქნება, როგორ ითამაშებენ ბათუმელები ჰოლანდიელებთან? მე კი რა მეკითხება, მაგრამ გონებაში სულ შესაძლო ტაქტიკური სქემები და შემადგენლობანი მიტრიალებდა. ალალად ვიტყვი, დათო ჭიჭვეიშვილს ვერცერთ ვარიანტში ადგილი ვერ „ვუპოვნე“. მე კი არა, თურმე თავად დათოს არ ეგონა, ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში თუ ითამაშებდა. არც იყო გასაკვირი: სეზონის დაწყებამდე „დინამო-2“-დან „ბათუმში“ გადასულს, ფაქტიურად, ძირითადში არც უთამაშია. არადა, ჩემპიონატის დაწყებას იმედით ელოდა. ბუნებრივია, დათო ბათუმში ბულვარზე დროის სატარებლად არ წასულა, მას თამაში სურდა. ჭეიშვილი კი შემადგენლობაში არ აყენებდა. ალბათ ჰქონდა საამისო მიზეზიც: წლობით შეთამაშებულ გუნდში ახალი მოთამაშის მიყვანა არც თუ იოლია. თანაც, ჭიჭვეიშვილს ძველი ტრავმაც ახსენებდა თავს.

–„ბათუმ“-„ეინდჰოვენის“ 12 სექტემბრის მატჩი კარგად გემახსოვრებათ. ჭიჭვეიშვილმა ეიკელკამპი „აიყვანა“ და თანაც როგორ ფეხი არ გაანძრევინაო, ბურთი არ მიაღებინაო, რომ ამბობენ, სწორედ ისე. მოკლედ, ჰოლანდიელი გამოთიშა. თამაშის მერე გაოცებული ეიკელკამპი მეურვეზე ასე იტყვის — მაგარი ბიჭია! და ეს ყოველივე, იმის მერე, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ცხადია, მოულოდნელი იყო: ჩემპიონატში უთამაშებელი ფეხბურთელისაგან ასეთ თამაშს ვინ ელოდა? როგორც ჩანს, მხოლოდ ჭეიშვილი. და დათომაც გაუმართლა...

— თამაშის წინ ჭეიშვილმა რომ მითხრა, ითამაშებო, სახტად დავრჩი. ამას არაფრით ველოდი. ეტყობა, ჩემი იმედი ჰქონდა, ჯერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრებიდან მიცნობდა. ეიკელკამპი უნდა აიყვანოო. რა ვიცი, მგონი, ცუდად არ მითამაშია...

– ბათუმში თამაშამდე ორი დღით ადრე ჩავედი. თამაშის წინა დღეს, საღამოს ვარჯიშის შემდეგ დათოსთან ერთად ბულვარის გავლით სახლისკენ მივდიოდით. ბუზღუნებდა, აქ სათამაშოდ ჩამოვედი, ვგრძნობ, ასე ფორმიდან ამოვარდები, რა ვქნა, არ ვიციო...

— რომ არ მათამაშებდნენ, ამასაც ჰქონდა მიზეზი. ფეხის კუნთი მტკიოდა და მოსამზადებელი ეტაპის ნაწილიც გამიცდა, ფორმის აღდგენას დიდი დრო სჭირდებოდა. თუმცა, ის განაცდენი თამაშს ახლაც ეტყობა.

– ჭიჭვეიშვილ-ეიკელკამპის დუელი ჰოლანდიაშიც გაგრძელდა. დათოს იქ, რა თქმა უნდა, ძალიან გაუჭირდა — ეიკელკამპი სულ სხვა იყო, მაყურებელიც „ეინდჰოვენისგან“ მხოლოდ მოგებას ითხოვდა.

— გვარიანად ვიჭიდავეთ. იქ უფრო მეტი იმოძრავა, ჯანიც ხომ, იცოცხლე, საკმაო აქვს. მოკლედ, მისი დაჭერა არ იყო იოლი საქმე. ვცდილობდი თავს არ ვზოგავდი და რაც შემეძლო, ვიბრძოდი, მაგრამ ეიკელკამპი იმ დღეს მოედანზე აშკარად გამოირჩეოდა. ერთი სიტყვით, მაგრად მანერვიულა.

– ისევ ბათუმის შეხვედრას დავუბრუნდეთ.

— პირველად მომეცა თავის გამოჩენის საშუალება, თანაც ვისთან — „ეინდჰოვენთან“ და... თამაშიც წამივიდა. როცა კაცს მოედანზე გასვლა გენატრება, ფსიქოლოგიური ტვირთი გიმსუბუქდება და მხოლოდ ერთზე ფიქრობ — უკეთ ითამაშო. კი ბატონო, სად ჩვენ და სად „ეინდჰოვენი“, მაგრამ ბათუმის შეხვედრის შედეგი სულაც არ იყო შემთხვევითი. ჰოლანდიელები თავდაჯერებულები იყვნენ — იცინოდნენ, ხუმრობდნენ, ეგონათ, ერთს შემოგვბერავდნენ და მორჩა... ჰოდა, ჩვენ რომ თავი გამოვიდეთ, იფიქრეს, ეს შეშინებულები დროებით ფაფხურობენო. მალევე მიხვდნენ, რომ ეს დროებითი კი არა, ნამდვილი წინააღმდეგობა იყო და ამან, ცოტა არ იყოს, შეაკრთო. უნდა გენახათ მათი გაოცებული სახეები. გადაწყობა კი გაუჭირდათ. ჩემი აზრით, იმ დღეს ჩვენ ფრეზეც არ უნდა დავყაბულებიყავით. მოგებაც შეგვეძლო. ისეთ ჭკუაზე ვიყავით, გამარჯვება არ გვეჩვენებოდა.

**— ძალიან ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის?**

— დამიჯერე, რომ არა. მოედანზე ვიყავი, რიტმს კარგად ვგრძნობდი და ამიტომ ვამბობ არ დაჯერებით. შეხვედრის შემდეგ ჰოლანდიელები გაძლიერებულები იყვნენ.

**— იქაც თავდაჯერებულნი გამოვიდნენ სათამაშოდ?**

— არა, რა თქმა უნდა, ისე უკვე მობილიზებულები იყვნენ. თავიდანვე შემოგვიტიეს, სურდათ მაყურებელი დაერწმუნებინათ, რომ პირველი შეხვედრის შედეგი შემთხვევითი იყო. ჰოდა, ასეთი მეტოქე, თანაც გააფთრებული, როგორი მოსაგერიებელია?!

– გავა დრო და „ეინდჰოვენთან“ შეხვედრებს დათო სიამოვნებით გაიხსენებს. მაგრამ „ერთჯერადი“ წარმატება ილუზიებს არ უქმნის. მოკლედ მითხრა:

— ჩემი თამაში არ მაკმაყოფილებს, სასურველისაგან ჯერ კიდევ შორს არის. დრო და დიდი ჯაფა მჭირდება, ხეირიან დონეზე რომ ვითამაშო.

**— შესაძლოა კი, საქართველოში, კერძოდ, ბათუმში მოთამაშის მაღალი რანგის შეხვედრებისათვის გამოწვრთნა?**

— თუ „დინამოს“ არ ჩავთვლით, სხვა გუნდები პირობებით ჩვენთან ახლოსაც არ მოვლენ. ახლახან ჩემპიონატის მატჩი ვითამაშეთ რუსთავში. იქ ისეთი მოედანია, ჩვენი სავარჯიშო, „ბეენზეს“ მინდორი აჯობებს, მაგრამ, იმის თქმა როდი მინდა, რომ „ბათუმს“ იდეალური პირობები აქვს. იდეალური პირობები ჰოლანდიაში ვნახე. იქ რომ ჩავედი გაოცებისაგან პირი დავაღე — ეინდჰოვენის საფეხბურთო ცენტრში 40-მდე ერთიმეორეზე უკეთესი მოედანი ვნახე. აღდგენით ცენტრსა და სხვა ამგვარებზე აღარაფერს ვამბობ. სად არის და როდის იქნება ჩვენთან ასეთი პირობები... ამიტომაც ჩამოვრჩებით ევროპელებს, თორემ რით გვჯობიან? ნიჭით? ვეჭვობ. ერთი ჩვენც გვქონდეს მსგავსი პირობები და მერე ვნახოთ... თუმცა, ასლან აბაშიძის დავალებით ჩვენი სტადიონის ტრიბუნების ქვეშ საცხოვრებელს გვიშენებენ, იქვე სტადიონისავე ტერიტორიაზე საცურაო აუზს, კორტებსა და აღდგენით ცენტრს. ასე რომ, მალე ჩვენც ვიფიქრებთ დიდ მიზნებზე.

–„ბათუმში“ გადასულ ჭიჭვეიშვილს წლობით შეთამაშებული გუნდი დახვდა. მსგავს ვითარებებში ხშირად ხდება ხოლმე ასე: ძველები ახალწვეულს კეთილმოსურნედ არ ხვდებიან. აბა, ვის გაუხარდება კონკურენტის გამოჩენა? სამაგალითოდ „სარბიელში“ ახლახან დაბეჭდილი ზესტაფონის „მარგვეთის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელის მონათხრობიც იკმარებს. მალტელებთან შეხვედრის წინ ძველები და ახლები ცალ-ცალკე დაჯგუფებულან. მაგრამ ამ მხრივ „ბათუმი“ გამორჩეულია — მიმტკიცებენ აქაურები — აქ ჩამოსული თავს უცხოდ არ იგრძნობსო. ამას დათოც ადასტურებს:

— მართლა შეკრული გუნდია, დიდიანპატარიანად ყველა გულთბილად შემხვდა. ძალიან კარგი ხალხია, დარწმუნებული ვარ, ამ ბიჭებით გაცილებით მეტის მიღწევა შეიძლება.

**— ჩემპიონობისაც?**

— ჩემპიონობისაც! მე რეალობის გრძნობა არ მღალატობს, ვიცი, „დინამოს“ დამარცხება ძალიან ძნელია, მაგრამ ბრძოლა უნდა გავუმართოთ. „სამტრედიას“ რა, „დინამოსნაირი“ პირობები ჰქონდა, პირველობას რომ შეეცილა? არ გახსოვთ, კინაღამ ჩემპიონიც გახდა. ჩვენ კი „სამტრედიაზე“ უკეთესი პირობებიც გვაქვს და გუნდიც უკეთესია. მონდომება კი კაცს ბევრს შეაძლებინებს.

... ბოლოს ისევ „ეინდჰოვენთან“ შეხვედრამდე განცდებს უბრუნდება. ძირითადში რომ ვერ ვთამაშობდი, ცხელ გულზე გუნდიდან წასვლასაც ვაპირებდი. თავს ზედმეტად ვგრძნობდი. კინაღამ გულიც ამიცრუვდა ფეხბურთზე. ყველაფრის მიტოვება და შინ, თბილისში დაბრუნება მინდოდა, ფეხბურთის გაგონებაც აღარ მსურდა. კიდევ კარგი, ბიჭებმა გამამხნევეს — ეს ვის არ დამართნია, რაღა შენ იტეხ გულსო. „ეინჰოვენთან“ შეხვედრების შემდეგ ამ ფიქრმა გადამიარა. ვხვდები, ვცდებოდი. ახლა გულიანად ვვარჯიშობ და საქმეც უკეთ მიდის. ეგაა, მძიმე ვარჯიშები გვაქვს და ცხოვრებაც ერთფეროვანია: სახლი-ბაზა-სახლი. დაღლილდაქანცულს ბულვარზე გასეირნების სურვილიც აღარ მაქვს. მაგრამ რას ვიზამ, მძიმე ყოფილა ფეხბურთელის ცხოვრება და მეც უნდა გავუძლო...

**მერაბ მამულაშვილი**



დავით ჭიჭვეიშვილი მოლდოველი თანატოლების კარს უტევს

## ძიუდო

# ... ისევ ძველი ჯიქურაულია



ივერი ჯიქურაული

პორტუგალიაში გამართულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველთა ერთადერთი მედალის შესახებ წინა „სარბიელში“ გაუწყეთ. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ჯემალ ნათელაშვილთან საუბრისას უფრო მეტი რამ შევიტყვეთ ამ შეჯიბრების შესახებ.

პრიზიორით დავიწყოთ. ივერი ჯიქურაულმა (95 კგ) საწყისი სამი შეხვედრა წმინდად მოიგო — დაამარცხა ეგვიპტელი ელ ღარბავი, ებრაელი არიელ ზევი და პოლონელი პაველ სიტარსკი. ივერის ყველა ეს შეხვედრა შესანიშნავად უჭიდავია და მრავალი ილეთიც გამოუყენებია. ფინალში გასვლელად ჯიქურაული კორეელ სუნ კუნ პაკს ეჭიდავა. ნათელაშვილის თქმით, შერკინების პირველი ორი წუთი კატა-თაგვობანას ჰგავდა.

ჯიქურაულმა შავ დღეში ჩააგდო მეტოქე და ქამარში გადავლებით ვაზარიც დაიმსახურა, შემდეგ კი საქმე უკულმა წასულა, უფრო სწორად, ყველაფერი ერთმა წამმა გადაწყვიტა: ჩვენი მოჭიდავე უეცრად მოდუნდა, კორეელი კი მყის კისრუქზე ჩუდგა. ივერი ჯერ წელით დაეცა, მაგრამ მერე, საუბედუროდ, გადატრიალდა და პაკს იპონი მიაკუთვნეს. რჩებოდა შეხვედრა მესამე ადგილისთვის, სადაც ჯიქურაულმა დიდხანს აღარ აწვალა არგენტინელი ალეხანდრო ბენდერი: გარეფეხით წმინდა გამარჯვება და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჯიქურაულისთვის, უფროსებში შარშანდელ ევროპის ვიცე-ჩემპიონისათვის ახალგაზრდული ჩემპიონატის ბრინჯაო იქნებ მთლად საუცხოო შედეგი ვერ [illegible]ოს, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, [illegible] წლის დამდეგს ივერიმ სერიოზული კრიზისი გადაიტანა — ფორმის დაკარგვას ავადმყოფობათა მთელი წყება დაერთო და ბევრი იმასაც ფიქრობდა, ჯიქურაული ჭიდაობას თავს დაანებებსო. ჯემალ ნათელაშვილის აზრით: „ივერიმ დაამტკიცა, რომ ისევ ძველი ივერია. მისთვის რთული პერიოდი დასრულდა და ახლა უკვე თამამად შეუძლია იფიქროს წარმატებებზე უფროსთა შორის“.

ასევე სამი წმინდა გამარჯვებით დაიწყო ატლანტის ოლიმპიადის მონაწილემ გიორგი წმინდაშვილმაც (86 კგ) — უკრაინელი გეორგი დიდენკოს, პორტუგალიელ ჟოაო ფერეირას და ავსტრალიელ მეტიუ ჰილს მისთვის ხეირიანი წინააღმდეგობაც კი არ გაუწევიათ. ფინალში გასასვლელ შეხვედრაში კი წმინდაშვილს პატარა დრამა გადახდა. პოლონელმა პჟემისლავ მატიაშეკმა ორჯერ უკნიდან ჩაჩეხა და ორჯერვე იუკო დაიმსახურა. გიორგისაც ორი იუკო ჰქონდა. თუმცა, ჩვენებურის ერთ-ერთი გდება აშკარა იპონი ყოფილა, მსაჯებს კი მხოლოდ იუკო გაუმეტებიათ. შემდეგ პოლონელი შიდოთი გააფრთხილეს და წმინდაშვილიც დაწინაურდა. ეს უპირატესობა მან შერკინების ბოლო წამებამდე შეინარჩუნა, მაგრამ უცბად მატიაშეკმა ისევ ჩაჩეხა და ვაზარით ხელიდან გამოაცალა გამარჯვება. ამ მარცხმა ისე იმოქმედა ქართველ ფალავანზე, რომ მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ფსიქოლოგიურად ველარ განეწყო და იაპონელ ჰირომი ფუჯიტასთან წმინდად დამარცხდა.

გიორგი ნადირაშვილმა (71 კგ) თავიდან მომავალ ჩემპიონთან, ბრაზილიელ სებასტიან პერეირასთან წააგო, მერე კი დამამშვიდებელ წრეში ფრანგი გიიომ ფორტი სძლია. სამწუხაროდ, გიორგი მომდევნო შერკინებაში კორეელ ჩოი იონ შინთან დამარცხდა და ბრძოლას გამოეთიშა.

დანარჩენი ქართველები პირველსავე წრეში დამარცხდნენ და გავარდნენ: მამუკა მათიაშვილი (60 კგ) პოლონელ ლუკაშ ჩლევიცკისთან; ქართლოს თედიაშვილი (65 კგ) ჰოლანდიელ დენის მეიერთან; ლევან ციგრიაშვილი (78 კგ) — ესტონელ ალექსეი ბუდოლინთან; რატი ფერაძე (მძიმე) — იუგოსლაველ ლუკა იანდრიჩთან.

ჩვენების ასპარეზობის შეფასებისას ჯემალ ნათელაშვილმა აღნიშნა: „ამ ბიჭების უმრავლესობას არავითარი გამოცდილება არა აქვს. უბრალო ტურნირებიც არ უჭიდავიათ და ეგრევე მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდნენ. ასე რომ, მათი წარუმატებლობა გასაკვირი არ არის. მედლებს ჯიქურაულისა და წმინდაშვილისაგან ველოდით. პირველმა გაამართლა, მეორეს კი იმისთანა რამ შეემთხვა, ათასში ერთხელ რომ ხდება. მაგრამ, მერწმუნეთ, პორტუგალიაში ნაჭიდავებ ყველა ახალგაზრდას პერსპექტივა აქვს. რომ იტყვიან, მასალა არის და მუშაობა შეიძლება. ერთადერთი, რაც მათ სჭირდებათ, პრაქტიკაა“.

### მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

**§-6 ოქტომბერი. პორტუ**

**ვაჟები**

60 კგ: 1. კენძი უემაცუ (ესპანეთი), 2. მაგომედ ჯაფაროვი (რუსეთი), 3. ლეროი ბაპტისტი (საფრანგეთი) და იუნ დონ ვონი (კორეა)

65 კგ: 1. იოზეფ კრნაჩი (სლოვაკეთი), 2. კიოში უემაცუ (ესპანეთი), 3. ბექთაშ დემირელი (თურქეთი) და რიოპეი ტანაკა (იაპონია)

71 კგ: 1. სებასტიან პერეირა (ბრაზილია), 2. ჯუზეპე მადალონი (იტალია), 3. მარსელ ბოსე (ჰოლანდია) და ჩოი იონ შინი (კორეა)

78 კგ. 1. სედრიკ კლავერი (საფრანგეთი), 2. რიუჩი მურატა (იაპონია), 3. გენადი ბელოდედი (უკრაინა) და ალსაიდ აბდ-მიდანი (ეგვიპტე)

86 კგ: 1. დავიდ ალარზა (ესპანეთი), 2. პჟემისლავ მატიაშეკი (პოლონეთი), 3. ჰირომი ფუჯიტა (იაპონია) და მარტინ ვან დე ბერგი (ჰოლანდია)

95 კგ: 1. ტამერლან ტმენოვი (რუსეთი), 2. სუნ კუნ პაკი, (კორეა), 3. მასატოში ტობიცუკა (იაპონია) და ივერი ჯიქურაული (საქართველო)

მძიმე: იან სუნ პო (კორეა), 2. აიტამი რუანო (ესპანეთი), 3. ტაცუპირო მურამოტო (იაპონია) და ლარბი ქემელი (ალჟირი)

**ქალები**

48 კგ: 1. ტამარა მეიერი (ჰოლანდია), 2. ემი ტასაკა (კანადა), 3. ყიუნ ვანი (ჩინეთი) და პიუ შუ ჩენი (ტაივანი)

52 კგ. 1. მიპოკო ნაკაია (იაპონია), 2. კრისტელ ტაელმანი (ბელგია), 3. ტამარა ძალაევა (რუსეთი) და ბარბარა ტილი (უნგრეთი)

56 კგ: 1. ემი შოპენდონკი (ჰოლანდია), 2. დანიელა ზანგრანდო (ბრაზილია), 3. ოლგა ფედოსეენკო (რუსეთი) და პ იროში კაჯი (იაპონია)

61 კგ: 1. კიე კუსაკაბე (იაპონია), 2. ლი შუფანი (ჩინეთი), 3. კრისტიან პარამიუიანო (ბრაზილია) და ნიკი ბონეე (ჰოლანდია)

66 კგ: 1. ედიტ ბოში (ჰოლანდია), 2. ლეირა იგლესიასი (ესპანეთი), 3. რისა კაზუმი (იაპონია) და სილვია შლაგნიტვაიტი (ავსტრია)

72 კგ: 1. იუნგ პე ჩოი (კორეა), 2. პანა ერტელი (გერმანია), 3. ამანდა კოსტელო (ბრიტანეთი) და კატრინ ყაკი (ბელგია)

მძიმე: 1. კარინა ბრაიანტი (ბრიტანეთი), 2. იუნ სუ შინი (კორეა), 3. სანდრა ბორდერო (საფრანგეთი) და სვეტლანა პანტელეევა (რუსეთი)

## მხატვრულ ტანვარჯიშში

# შესანიშნავი სამეული

თბილისში დასრულდა საქართველოს პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელშიც თბილისელი, ბათუმელი და რუსთაველი 40 სპორტსმენი მონაწილეობდა. ტურნირზე საქართველოს ნაკრების ლიდერის ეკა აბრამიას არყოფნის გამო პირველობისთვის ბრძოლა ვანდა კრესელიძეს, ინგა თავდიშვილსა და ნინო გედევანიშვილს შორის გაჩაღდა. აბსოლუტური პირველობა ბათუმში აღზრდილმა, ახლა უკვე თბილისელმა ვანდა კრესელიძემ მოიგო, მეორეზე რუსთაველი ინგა თავდიშვილი გავიდა, მესამეზე — თბილისელი ნინო გედევანიშვილი. ცალკეულ ვარჯიშებშიც საპრიზო ადგილები ამ ტანმოვარჯიშეებმა დაისაკუთრეს.

მრავალჭიდი: 1. ვანდა კრესელიძე; 2. ინგა თავდიშვილი; 3. ნინო გედევანიშვილი

რგოლით ვარჯიში: 1. ნინო გედევანიშვილი; 2. ინგა თავდიშვილი; 3. ვანდა კრესელიძე

სხტუნელა: 1. ნინო გედევანიშვილი; 2. ვანდა კრესელიძე; 3. ინგა თავდიშვილი

გურზები: 1. ვანდა კრესელიძე; 2. ნინო გედევანიშვილი; 3. ინგა თავდიშვილი

ბაფთა: 1. ნინო გედევანიშვილი; 2. ინგა თავდიშვილი; 3. ვანდა კრესელიძე

კოტე მგალობლიშვილი

## ჰოკეი

# მარიო ლემიე მარხულობს

3 ოქტომბერს გამართული 3 მატჩით დაიწყო ნჰლ-ის მორიგი ჩემპიონატი.

**სენტ-ლუისი — კოლორადო 4:2.** ეს შედეგი მოულოდნელი იყო — სტენლის თასის ახლანდელი მფლობელი დამარცხდა მაიკ კინენის „ექსპერიმენტულ“, ახალგაზრდულ გუნდთან. ახალბედებმა მეტად გამოიჩინეს თავი ამ მატჩში — კემპბელმა 2 (1 + 1) ქულა დააგროვა, თანაც, გადამწყვეტი მესამე შაიბა შეაგდო ასევე ახალბედა იორკის პასის შემდეგ, 21 წლის პრონგერმა (1 + 1) კი გამოცდილ მაკინისთან ერთად უკან ხაზი გააძლიერა. კოლორადოელთაგან პირველი გოლი ყოფილმა ლოსანჯელესელმა ლაკრუამ გაიტანა.

**ედმონტონი — ბუფალო 4:3.** ბუფალოელთაგან ბოლო წლებში ტრავმებისგან გაწამებულმა ლაფონტენმა (1 + 1) ისახელა თავი, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ედმონტოს კი პირველი ორი ქულა მაკამონდმა მოუტანა.

**ლოს-ანჯელესი — აილენდერსი 1:0.** შარშანდელი აუტსაიდერების შეხვედრა დაძაბული კი გახლდათ, მაგრამ საყურებლად უინტერესო იყო. ერთადერთი გოლი ვინიპეგიდან გადმოსულ ოლჩიკის ანგარიშზეა, ახალბედა მეკარე ფისემ კი, რომელიც ადრე კოლორადოში გამოდიოდა, ჩემპიონატის პირველი „მშრალი“ მატჩი ჩაატარა.

**4 ოქტომბერი. ჰარტფორდი — ფინიქსი 1:0.** ფისეს წარმატება გამოცდილმა შონბურკმაც გაიმეორა, რომელმაც 30 დარტყმა მოიგერია. გამარჯვება კი ჰარტფორდს უკრაინელმა გოდინიუკმა მოუტანა.

**ვაშინგტონი — ჩიკაგო 2:5.** მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონელებს საკმაოდ ძლიერი დაცვა ჰყავთ, ჩიკაგოელებთან ვერაფერი გააწყვეს. მეორე პერიოდში რუსმა კრივოკრასოვმა, უეინრიჩმა და ბლექმა სამი შაიბა გაიტანეს, რასაც მეტოქეებმა (ზედნიკმა) ერთით უპასუხეს. ამ ყოველით გადაწყდა კიდეც მატჩის ბედი. ჩიკაგოელმა მორომ პირველი შაიბა შეაგდო ნჰლ-ში. არაფრით გამოუჩენიათ თავი ორივე გუნდის ლიდერებს ჟამნოვს (ჩიკაგო), ბონდრას და პივონკას (ვაშინგტონი).

**ბოსტონი — რეინჯერსი 4:4.** თავისი ახალი კლუბის, რეინჯერსის შემადგენლობაში პირველად ითამაშა უეინ გრეცკიმ. მიუხედავად იმისა, რომ ქულები ვერ დააგროვა, გუნდის მწვრთნელმა კემპბელმა განაცხადა: „უენმა დაგვარწმუნა, რომ ჯერ კიდევ შეუძლია თამაში. იგი თამაშს აკონტროლებდა“. სVამაგიეროდ ბრწყინავდა გრეცკის ძველი პარტნიორი და მეგობარი მარკ მესიე. მესიეს პარტნიორებმა გრეივზმა და რობიტაილმა მესამე პერიოდში თითო-თითო შაიბა გაიტანეს, ანგარიში გაათანაბრეს და თავის გუნდს ქულა მოუტანეს (მანამდე გრეივზმა კიდევ ერთი შეაგდო). მესიე სამივე კომბინაციაში მონაწილეობდა. რეინჯერსს დაცვამ უმუხთლა — წლევანდელი მსოფლიო თასის გმირი, მეკარე რიხტერი ხშირად რჩებოდა მარტო.

**დეტროიტი — ნიუ-ჯერსი 1:3.** ამჯერად 1995 წლის სტენლის თასის ფინალისტები შეხვდნენ. შარშანდელისა არ იყოს, დეტროიტმა ვერაფერი მოუხერხა ძალუმ „ეშმაკებს“. ჯერ მასპინძლებმა შეუტიეს, მაგრამ მერე ნიუჯერსელებმა იძალეს და მეორე პერიოდში ორი კონტრშეტევა გამოიყენეს (როლსტონი, ტომასი). ბოლო პერიოდში დეტრიოტმა მთელი ძალით შეუტია, მაგრამ ფიოდოროვმა მხოლოდ ერთხელ შეძლო ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარე ბროდოს მოტყუება. 57-ე წუთზე მსოფლიო თასის მფლობელმა გერინმა ანგარიშში სხვაობა გაზარდა.

ამასობაში დეტროიტი სენსაციურ გარიგებას ამზადებდა. შაბათს ლეგენდარულ პოლ კოფის, რომელსაც ნჰლ-ის თითქმის ყველა რეკორდი (372 გოლი, 1038 ასისტენტობა) ეკუთვნის, გუნდის დატოვების უფლება მისცეს, მის ნაცვლად კი ჰარტფორდელი სნაიპერი ბრენდან შენაჰანი მიიწვიეს. კოფისთან ერთად დეტროიტმა კეიტ პრიმოც გაუშვა.

**პიტსბურგი — ტამპა 3:4.** კიდევ ერთი სენსაციური შედეგი. ამ დრამატულ ორთაბრძოლაში ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან მეორე. ტამპა უფრო მეტს უტევდა და 43-ჯერაც დაარტყა, პიტსბურგმა — მხოლოდ 24-ჯერ. და მაინც, სანდსტროიმმა იმარჯვა — ლემიეს პასის შემდეგ ორამდე გაზარდა ანგარიში. ამის შემდეგ აღარავის ეგონა, რომ მატჩი სხვაგვარად წარიმართებოდა, მაგრამ ჯერ ზამუნერმა გაქვითა ერთი შაიბა, მერე კი 21 წამის განმავლობაში კალენმა და ვეტერანმა სისარელიმ დააწინაურეს თავისიანები. პიტსბურგელმა ლემიომ თავი გადადო და აღადგინა წონასწორობა, მაგრამ ოვერტაიმში ბედმა ტამპას გაუღიმა.

**ტორონტო — ანაჰეიმი 4:1.** მიუხედავად იმისა, რომ ტორონტოს წელის აუტსაიდერობას უწინასწარმეტყველებენ, კლუბმა საკმაოდ დამაჯერებლად გაიმარჯვა. მიულერმა და კლარკმა 2 (1 + 1) ქულა მოაგროვეს, მეკარე პოტვინმა კი არაერთხელ იხსნა თავისიანები. ანაჰაიმის ფინურმა წყვილმა კური-სელიანემ ერთხელ დაარტყა კარში.

**ფილადელფია — ფლორიდა 1:3.** ამ მატჩმა კონფერენციის 1995-96 წლის ფინალისტები შეახვედრა ერთმანეთს. ფილადელფია ამაოდ უტევდა, ერთადერთი შაიბა ლიტველმა ლეგიონერმა ზუბრუსმა შეაგდო. ფლორიდის საუკეთესო ბომბარდირის მელანბის (32 შაიბა წინა სეზონში) მეორე გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა. მასპინძელთა გასამართლებლად უნდა ითქვას, რომ ტრავმის გამო არ თამაშობდა გუნდის კაპიტანი ლინდროსი.

**მონრეალი — ოტავა 3:3.** როგორც ჩანს, წლევანდელ სეზონში ახალბედები ბევრ სიუპრიზს შემოგვთავაზებენ. ამ მატჩში თითო-თითო შაიბა სწორედ ოტაველმა დებიუტანტმა 19 წლის რედენმა და შვედმა დაკელმა შეაგდეს. მონრეალელთაგან რიშემ გაიტანა.

**დალასი — კოლორადო 4:1.** სტუმრებმა ზედიზედ მეორედ წააგეს, თუმცა მეორე პერიოდის შემდეგ 1:0-ს იგებდნენ (საკიკი). მაგრამ მესამე პერიოდში საკმაოდ გაძლიერებულმა დალასმა ოთხჯერ დასწყვიტა გული მეტოქეს, განსაკუთრებით ადამს (2 + 0) — მოდანოს (0 + 2) დუეტი აქტიურობდა, ხოლო ყოფილმა რეინჯერსმა ვერბიკმა (შაიბა) და პიტსბურგელმა ზუბოვმა (1 პასი) პირველი ქულები მოიპოვეს.

**სან-ხოსე — აილენდერსი 2:2.** თამაშის გმირი სეზონის წინ ჩიკაგოდან გადმოსული 35 წლის ბერნი ნიკოლსი გახდა. მან ბოლო წამებზე გაათანაბრა ანგარიში და მასპინძლებს ქულა მოუტანა, მანამდე კი ნოლანს საგოლე მიაწოდა.

**ვანკუვერი — კალგარი 3:1.** ვანკუვერელთა საუკეთესო სნაიპერმა მოგილნიმ (55 შაიბა წინა ჩემპიონატში) გატანილი შაიბების ანგარიში გახსნა. ეს მან პირველივე პერიოდში შეძლო, როცა თავისი მესამე საგოლე მომენტი გამოიყენა. მეორე ვარსკვლავის, ბურეს შედეგიანობა მხოლოდ ერთი პასით ამოიწურა. ამის შემდეგ ნესლუნდმა გადამწყვეტი შაიბა შეაგდო. სტუმართა შორის ახალგაზრდათა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის გმირი იგინლა გამოირჩეოდა (პირველი შაიბა ნჰლ-ში).

**5 ოქტომბერი. რეინჯერსი — ფლორიდა 2:5.** როგორც ჩანს, პანტერების შარშანდელი წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. მათ აგერ უკვე მეორე ფავორიტს სძლიეს, თანაც სტუმრად, ორ-ორი შაიბა ნიდერმაიერის და სკრუდლანდის ანგარიშზეა, გრეცკიმ თავის ახალ კლუბში პირველი ქულა ჩაიწერა, ხოლო მაიკ რიხტერმა ორ თამაშში 9 შაიბა გაუშვა.

**სენტ-ლუისი — ჩიკაგო 1:4.** მიუხედავად იმისა, რომ „სენტლუისელები უფრო დასვენებულები იყვნენ, ჩიკაგოელებმა მათზე აქტიურად ითამაშეს. აღსანიშნავია მიურეი კრეივენის (1 + 1) თამაში, რომელმაც ფინიქსში გადასული რენიკის ადგილი დაიკავა პირველ სამეულში და ორ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო დებიუტანტებმა ბლეკმა და მორომ უკვე მეორე გოლები გაიტანეს. ჩელიოსის აქტივში ორი ქულაა (1 + 1).

**ედმონტონი — ვანკუვერი 2:0.** მეკარე ჯოზეფის ბრწყინვალე თამაშის წყალობით (35 მოგერიებული შაიბა) ედმონტონელებმა ზედიზედ მეორედ გაიმარჯვეს. ყველაფერი პირველ პერიოდში გადაწყდა, როდესაც „საგამოფენო“ თამაშების გმირმა მაკამონდმა და მურეიმ ორი უპასუხო შაიბა გაიტანეს.

**კალგარი — ბუფალო 3:0.** კიდევ ერთი „მშრალი“ მატჩი, ამჯერად რიკ ტაბარაჩის აქტივში. თუმცა, მისმა პარტნიორებმაც მშვენივრად ითამაშეს და ინიციატივა არ დაუთმიათ. სამივე საგოლე კომბინაციაში მონაწილეობდნენ [illegible] (1 + 1) და ერთწლიანი შესვენების შემდეგ ევროპიდან დაბრუნებული ჩეხი რაიხელი.

**ლოს-ანჯელესი — სან-ხოსე 6:7.** ეს მატჩი ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა. როგორც აღმოჩნდა, ჩიკაგომ ნაადრევად ჩამოწერა ვეტერანი ნიკოლზი, იგი ამჯერადაც საუკეთსო იყო სანხოსელთა შორის. ამაზე მისი ოთხი (1 + 3) ქულაც მეტყველებს. კიდევ ერთმა „ჩამოწერილმა“, ყოფილმა ლოსანჯელესელმა გრანატომ თავის ძველ გუნდს სამი გოლი გაუტანა. სტუმრებს კი ოვერტაიმში გამარჯვება კოზლოვის შაიბამ მოუტანა.

**7 ოქტომბერი. ბოსტონი — ფინიქსი 2:5.** ამ მატჩში 37 წლის გარტნერმა, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ გაისტუმრეს ტორონტოდან, ჰეთ-თრიქი შეასრულა, ხოლო გუნდის კაპიტნის ტკაჩუკის ანგარიშზე სამი საგოლე პასია. საუკეთსო მეკარე რენფორდმა 10 დარტყმიდან 4 გაუშვა. სახელგადარქმეულმა ფინიქსმა (ყოფილმა ვინიპეგმა) ახალი სახელით პირველი გამარჯვება იზეიმა.

**მონრეალი — ანაჰაიმი 6:6.** სანახაობრივად მეტად საინტერესო შეხვედრაში მეტოქეებმა დახვეწილი ოსტატობით ითამაშეს. პირველ რიგში ეს მასპინძელთა დუეტზე სავაჟ-კოვუზე ითქმის (შესაბამისად, სამი გოლი, სამი გადაცემა), აგრეთვე ანაჰაიმელ ფინელ სელიანეზეც (1 + 2). მეორე პერიოდში ტოლმა, სელიანემ და კარპოვმა სამი უპასუხო შაიბა შეუგდეს მონრეალს და 5:3 დააწინაურეს თავისიანები, მაგრამ მესამე პერიოდში ისევ მასპინძლები იყვნენ წინ. მხოლოდ ანაჰაიმელთა კაპიტნის, დოლასის გოლი წყალობით მიაღწიეს ფრეს „ბატებმა“.

**ფილადელფია — ნიუ-ჯერსი 3:1.** ნიუჯერსიმ თავის ჩვეულ ტაქტიკას მიმართა და ახლოსაც იყო მიზანთან — 39-ე წუთზე ჩამბერსმა გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა, მაგრამ 4 წუთის შემდეგ ბრინდამორი თავის კართან უმეთვალყურეოდ დატოვეს, შემდეგ კიდევ ორი გაუშვეს და დამარცხდნენ. ფილადელფიამ კი პირველად მოიგო.

**8 ოქტომბერი. ფლორიდა — რეინჯერსი 1:1.** ეს ტურის ცენტრალური მატჩი იყო. ორივე გუნდი კმაყოფილი უნდა იყოს შედეგით. ფიცჯერალდმა და გრეივზმა გოლები გაცვალეს.

**ჰარტფორდი — პიტსბურგი 7:3.** როდესაც „საგამოფენო“ მატჩებში პიტსბურგმა 9 შეხვედრიდან 6 წააგო, ბევრი ამას ლემიეს არყოფნას აბრალებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მიზეზი უფრო სერიოზულია — ორ თამაშში გუნდმა 6 შაიბა შეაგდო. მარიო ლემიემ კი მხოლოდ ერთი. მასპინძელთაგან 4 გოლი სანდერსონ (2 + 1) — ნიკოლიშინ (0 + 3) — დაინენის (1 + 1) სამეულზე მოდის, შენაჰანმა ერთიც დაამატა.

**ტორონტო — ედმონტონი 2:4.** ყველასთვის მოულოდნელად ედმონტონმა სტარტზე სამჯერ მიაღწია წარმატებას. რაიან სმიტმა ჰეთ-ტრიქი შეასრულა და 4 შაიბით ბომბარდირთა სიას ლიდერობს.

**დალასი — ვაშინგტონი 5:3.** კიდევ ერთმა მოულოდნელმა ლიდერმა დალასმა შინ საკმაოდ მომძლავრებული ვაშინგტონი დაამარცხა. ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა ფიპ ჰაუსლიმ ახალ კლუბში პირველი შაიბა შეაგდო. კარგად გამოიყურებიან გუნდის კაპიტანი მოდანო (2 + 3 ორ თამაშში), მისი მუდმივი პარტნიორები ლეჰტინენი (1 + 2) და ადამსი (3 შაიბა ორ მატჩში). ამ სამეულმა მიიღო გოლის გატანაში მონაწილეობა. მეტად უხეიროდ თამაშობს 1995 წლის საუკეთსო მეკარე კერი, რომელმაც უკვე 10 შაიბა გაუშვა.

**კოლორადო — სან-ხოსე 6:0.** კალიფორნიელებმა კვლავ 6 შაიბა გაუშვეს და ამჯერად ვერცერთი გაიტანეს, რადგან ორი წაგების შემდეგ კოლორადო საკმაოდ გამძვინვარებული იყო. მატჩის ბედი პირველივე პერიოდში გადაწყდა, როდესაც ფორსბერგის (1 + 2) და საკიკის (0 + 2) მეთაურობით მასპინძლებმა ხუთჯერ გაიხარეს გოლით. სახელოვანმა რუამ მორიგი, „მშრალი“ მატჩი ჩაატარა და ამ მაჩვენებლით მეკარეთა შორის ერთპიროვნული ლიდერია.

სამველ ლარიბიანი

# იყოს მესამე თასიც

ჭადრაკის სასახლეში გუშინ გამართულმა პრეს-კონფერენციამ, რომელიც ქართველ მოჭადრაკეთა ოლიმპიადაზე გამოსვლას მიეძღვნა, ჟურნალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. დამსწრეთ წარუდგნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ვაჟა შუბლაძე, ქალთა ნაკრების კაპიტანი ნანა ალექსანდრია, დიდოსტატები მაია ჩიბურდანიძე და ლაშა ჯანჯღავა.

ბატონმა ვაჟა შუბლაძემ უპირველესად მადლობა მოახსენა ჟურნალისტებს ოლიმპიადის ოპერატიული გაშუქებისთვის და ისიც აღნიშნა, რომ ეს იყო პირველი ოლიმპიადა, რომელზეც საქართველოს ტელევიზიამ და რადიომ სპეციალური კორესპონდენტები მიავლინეს. ამ ყოველივემ განაპირობა ის, რომ ჩვენებურ ჭადრაკის მოყვარულთა ცნობისწადილი სრულად დაკმაყოფილდა.

შემდეგ ბატონმა ვაჟამ ვრცლად ისაუბრა ოლიმპიადის შესახებ. ბევრი რამ მისი ნაუბრიდან „სარბიელის" მკითხველებმა ჩვენი გაზეთის წინა ნომრების მეშვეობით შეიტყვეთ, ამიტომ დღეს იმ ამბებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც თქვენთვის ჯერ უცნობია.

— ოლიმპიადაში 127 ქვეყანას უნდა მიეღო მონაწილეობა, საბოლოოდ კი 114 შეიკრიბა. ამან პირველ ტურამდე უხერხული ვითარებაც შექმნა, რადგან ორგანიზატორები ბოლომდე ელოდნენ მონაწილეთ. მოდიოდა ინფორმაცია, რომ ზოგი გზაშია, ზოგიც არ ჩამოვა და ა.შ. სანამ ყველა მონაწილე გუნდი არ ჩამოვიდოდა, კენჭისყრის ნორმალურად ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა. საბოლოოდ, როგორც გითხარით, 114 ქვეყანა ჩამოვიდა, ქალთა ტურნირში კი 74 გუნდი მონაწილეობდა.

ქართველ მოჭადრაკე ქალთა გამოსვლას გადაუჭარბებლად ეთქმის ბრწყინვალე. მათ თოთხმეტი შეხვედრიდან ათი მოიგეს და ოთხიც — უკრაინის, რუმინეთის, ინგლისის და ყაზახეთის გუნდებთან ფრედ დაასრულეს. თუმცა, უკანასკნელი ტურის შეხვედრას ყაზახებთან მე პირადად ფრეს ვერც ვუწოდებ, რადგან ჩვენებს თავისუფლად შეეძლოთ მოგება, მაგრამ პირველობაგანაღდებულმა ჩვენმა მოჭადრაკეებმა, რომ იტყვიან, თავი აღარ მოიკლეს.

დაფების მიხედვით ჩვენი ქალების შედეგები ასეთია: ჩიბურდანიძე — 8,5 12-დან, იოსელიანი — 10 13-დან, არახამია — 8 11-დან, გურიელი — 2,5 5-დან.

იოსელიანმა და არახამიამ თავიანთ დაფებზე პირველი ადგილები დაიკავეს. შესანიშნავად ითამაშა მაია ჩიბურდანიძემაც, თუმცა პირველდაფელებში სამეულში ვერ მოხვდა. მაგრამ ეს გარემოება გუნდურ პირველობაში, სადაც შვეიცარული სისტემაა, ობიექტურია, რადგან, ვთქვათ, პირველ ადგილზე გასულ თურქმენ ოახოვას გუნდი სულ აუტსაიდერებში იყო და იგიც უსუსტეს მეტოქეებს ხვდებოდა, მაიას კი უძლიერესებთან უწევდა თამაში. თუმცა, მაიას ამ სიტუაციაშიც შეეძლო პირველ ადგილზე გასვლა, ეს რომ თვითმიზანი ყოფილიყო. მაგრამ ოლიმპიადაზე, მოგეხსენებათ, გუნდის ინტერესებია უწინარესი. ისე, ჩიბურდანიძე ერთადერთი იყო ჩვენს გუნდში, ვისაც არათუ წასაგები, საეჭვო პოზიციაც არ ჰქონია მთელი ტურნირის მანძილზე.

შესანიშნავად ითამაშეს ჩვენმა ვაჟებმაც, რომლებიც ბოლო ტურამდე ინარჩუნებდნენ საპრიზო ადგილზე გასვლის შანსს. მათი მაჩვენებლები ასეთია: აზმაიფარაშვილი — 7 ქულა 12-დან, გიორგაძე — 8,5 12-დან, სტურუა — 6,5 11-დან, ზაიჩიკი — 5,5 10-დან, სუპატაშვილი — 4,5 8-დან, ჯანჯღავა — 1 3-დან. ვაჟებმა მხოლოდ სამი მატჩი წააგეს, ისიც მინიმალური ანგარიშით 1,5:2,5 ინგლისთან, ესპანეთთან, აშშ-თან და, რომ იტყვიან, სუფთა მერვე ადგილზე გავიდნენ. რატომ აღვნიშნავ ამას ხაზგასმით? შვეცარული სისტემით ასპარეზობისას დიდი მნიშვნელობა აქვს კოეფიციენტთა ცხრილს, რადგან საქმე ისაა, ვისთან გაქვს ქულები დაგროვებული. ჩვენები სულ ლიდერთა შორის იყვნენ და ძლიერ გუნდებს ხვდებოდნენ, რადგან ჩავარდნა არ ჰქონიათ. ზოგიერთ გუნდ კი 0:4 წაგებისას ქვემოთ ეშვებოდა, იქ მავანი უსუსტესი გუნდის დამარცხების შემდეგ ისევ ზემოთ ამოყვინთავდა და ასე ადი-ჩამოდიოდა ზემოთ-ქვემოთ.

მშვენივრად ითამაშეს ჩვენმა ლიდერებმა აზმაიფარაშვილმა და გიორგაძემ. აზმაიფარაშვილმა დაადასტურა თავისი მაღალი კლასი, გია კი მართლაც ბრწყინვალე იყო. მან პირველი ორ ტური დაისვენა და შემდეგ ზედიზედ თორმეტ პარტიაში მიაღწია ასეთ საუცხოო შედეგს.

ალბათ საინტერესო იქნება ერთი ასეთი ფაქტიც: გვსურს ფიდეს მივმართოთ წინადადებით, დაარსდეს მესამე თასიც, რომელიც ქალთა და ვაჟთა გუნდების შედეგების შეჯამების შემდეგ მსოფლიოს უძლიერეს საჭადრაკო ქვეყანას გადაეცემა. ამ მონაცემებით მსოფლიოს ექვსი უძლიერესი საჭადრაკო ქვეყანად ამ ოლიმპიადაზე წარმოჩნდნენ: 1. რუსეთი 67,5, 2. საქართველო 63, 3. უკრაინა 61,5, 4. ჩინეთი 61, 5. უნგრეთი 58, 6. ისრაელი 57,5. აქედანაც ჩანს, რაოდენი წარმატებით გამოვიდა ჩვენი ორივე ნაკრები.

იყო სხვა აღსანიშნავი ფაქტებიც, რომლებიც საქართველოს დიდ საჭადრაკო ავტორიტეტზე მეტყველებს. ყველაზე მეტი — 12 მსაჯი საქართველოდან იყო. ამდენი არც მასპინძელ სომხებს ჰყოლიათ და არც რუსებს. ნანა ალექსანდრიას მიენიჭა ტიტული „სენიორ არბიტრი", რომელიც უმაღლესი რანგია საჭადრაკო მსაჯებში და ამიერიდან ქალბატონ ნანას ენიჭება უფლება, უმსაჯოს ნებისმიერი დონის ტურნირს თუ შეხვედრას, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვს მატჩსაც. ამას გარდა, ოლიმპიადის დღეებში ჩატარდა ფიდეს კონგრესი, სადაც კიდევ ერთი ქართველი გახდა საერთაშორისო დიდოსტატი — მაია ლომინეიშვილი. მაია სულ მალე საქართველოს ღირსებას დაიცავს კოლუმბიაში 20 წლამდე მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე. საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა რომან სიჭინავას. კიდევ ერთი ჩვენი მოჭადრაკის, პროგრამისტ ვარლამ ვეფხიშვილის ვერსია შვეიცარიული სისტემის თაობაზე ფიდემ საუკეთესოდ აღიარა და ამ პროგრამის შესყიდვა ისურვა.

გაცნობებთ სხვა ფაქტებსაც, რომელნიც უშუალოდ ქართველ მოჭადრკეებს არ ეხება, მაგრამ ჭადრაკის მოყვარულთ უთუოდ დააინტერესებთ. დიდი ბრძოლა იყო კულისებშიც და ისედაც ფიდეს პრეზიდენტის თანამდებობაზე, რომელზეც პრეტენზიას აცხადებდნენ ფიდეს ამჟამინდელი პრეზიდენტი, ყალმუხეთის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი და ცნობილი ბრაზილიელი დიდოსტატი ხაიმე სუნიე ნეტო. ბრაზილიელს ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები უჭერდნენ მხარს. საბოლოოდ, 87 ხმით 46-ის წინააღმდეგ პრეზიდენტად ახალი ვადით ილუმჟინოვი აირჩიეს.

ოლიმპიადის მონაწილეებს დაურიგდათ მემორანდუმი, რომელსაც ხელს აწერს თანამედროვეობის ორი გამოჩენილი მოჭადრაკე, მსოფლოს ჩემპიონები სხვადასხვა ვერსიით გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი. მემორანდუმი გვაუწყებს, რომ ისინი მზად არიან შეხვდნენ ერთმანეთს მატჩში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის, რომელიც არცერთი არსებული საჭადრაკო ასოციაციის ეგიდით არ გაიმართება. პარტიების რაოდენობა იქნება 16-დან 20-მდე და რაც ყველაზე მთავარია, ორივე აღიარებს ერთმანეთის ამჟამინდელ ტიტულს. ამ მატჩის შემდეგ კი მსოფლიოს კვლავ ერთი ჩემპიონი ეყოლება. ეს მატჩი გაისად გაიმართება, საორგანიზაციო საკითხებზე კი მეტოქეები 16 ნოემბრამდე მოილაპარაკებენ.

შემდეგ პრეს-კონფერენციის მონაწილეებმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს:

— ითქვა, რომ სომხეთის პრეზიდენტმა საკუთარი ინიციატივით საგანგებო თასებით დააჯილდოვა გამარჯვებული გუნდები. მართალია ეს?

ვაჟა შუბლაძე: პრეზიდენტმა ტერ-პეტროსიანმა საქართველოს ქალთა და რუსეთის ვაჟთა გუნდებს გადასცა ანდეზიტის თასები, რომლებიც მოპოვებული გარდამავალი თასებისგან განსხვავებით სამუდამოდ დარჩებათ ერევანში გამარჯვებულ გუნდებს.

— მოსალოდნელია თუ არა საჭადრაკო ოლიმპიადის თბილისში გამართვა უახლოეს მომავალში?

ვაჟა შუბლაძე: არა, რადგან ეს ძალზე დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ერევნის ოლიმპიადა, ჩემი მონაცემებით, 5 მილიონი დოლარი დაჯდა, მოსკოვისა — 4,5. ჩვენ ამის შესაძლებლობა არ გვაქვს.

— ქალთა ჭადრაკში ახალი სახელები თუა?

ნანა ალექსანდრია: მოდის ახალი თაობა, რომელიც ჯერჯერობით მეორე-მესამე დაფებზე თამაშობს კარგად, მალე კი, ალბათ, ლიდერთა პოზიციებსაც დაიკავებს. მათგან უნდა აღვნიშნო ჩინელი ჩუ ჩენი, რომელიც, მართალია, მეორე დაფაზე ასპარეზობდა, მაგრამ წარმატებით ცვლიდა მსოფლიოს ექსჩემპიონ სუ ჟუნს პირველ დაფაზე. იგი ძალზე პერსპექტიული მოჭადრაკეა, მინდა აღვნიშნო რუმინელი გორინა პეპტანიც. საერთოდ, ქალთა ჭადრაკის საშუალო დონე ძალზე ამაღლდა.

— იუდით პოლგარი ქალებთან თამაშს კვლავ არ აპირებს?

ნანა ალექსანდრია: სხვათა შორის, იყო ლაპარაკი, რომ ამ ოლიმპიადაზე სამივე პოლგარს ქალებში უნდა ეთამაშა, მაგრამ იუდითი მამამ, ლასლომ ვერ დაიყოლია. როგორც პოლგარების დედამ კლარამ მითხრა, უდითს მამისთვის უთქვამს, მთელი ცხოვრება იმისთვის მამზადებდი, რომ ვაჟებში მეთამაშა და ახლა გინდა ქალებში დავბრუნდეო? ორპოლგარიანი გუნდი კი ჩვენ უკვე დავამარცხეთ. მინდა ვთქვა, რომ შეიძლება ჟუჟუა მართლაც ბავშვს ელოდება და ამიტომ არ ჩამოვიდა, მაგრამ შეიძლება იმის გამოც, რომ იუდითის გარეშე უნგრელები პირველ ადგილს ვერ დაიკავებდა და ამიტომ ახალ მარცხს მოერიდნენ.

— ბევრს ლაპარაკობდნენ ყმაწვილ ფრანგ მოჭადრაკე ეტიენ ბაკროზე, მას ახალ ფიშერსაც კი უწოდებენ. მართლა ასეთი ძლიერია იგი?

ნანა ალექსანდრია: ბაკროზე მართლაც დიდი ხმაურია ატეხილი და ისიც ურიგოდ არ თამაშობს. მაგრამ ფიშერის დონეს მიაღწევს თუ არა, მომავალი გვიჩვენებს.

— როგორ ითამაშა ქეთევან კახიანმა გერმანელთა პირველ დაფაზე?

ვაჟა შუბლაძე: ქეთინომ ცუდად დაიწყო, სამ პარტიაც წააგო, მაგრამ მერე შვიდი მოიგო და საბოლოოდ ურიგოდ არ გამოსულა.

დასასრულ ბატონმა ვაჟა შუბლაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ქართველმა მოჭადრაკეებმა დაამტკიცეს მაღალი კლასი და თუ ვაჟთა გუნდის წარმატებასაც გავითვალსწინებთ, წინაც გადადგეს ნაბიჯი. ჭადრაკის ფედერაციას უამრავი რამ აქვს განზრახული, მაგრამ, ალბათ, უნდა დაველოდოთ იმ დროს, როდესაც ქვეყანა ეკონომიკურად მოღონიერდება. ჩვენი დიდოსტატების ავტორიტეტის წყალობით საქართველოში ბევრი ტურნირის მოწყობა, მრავალი გამოჩენილი დიდოსტატის მოწვევა შეიძლება, მაგრამ ამ ჩანაფიქრს მყარი ეკონომიკური საფუძველიც უნდა ჰქონდეს, ჯერჯერობით კი, იმ პირობებში, ჩვენ რომ ვიმყოფებით, ეს ნაადრევია. დიდად მადლობელნი ვართ ჩვენი წარმატების ესოდენ დაფასებისთვის. აუცილებლად უნდა აღინიშნოს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განსაკუთრებული ყურადღება. მოჭადრაკე ქალები გამარჯვებისთვის შეპირებულ ფულად ჯილდოებს მიიღებენ, ამასთან, ბატონმა ედუარდმა გაითვალისწინა ვაჟთა შესანიშნავი გამოსვლაც და მათაც აღუთქვა მატერიალური წახალისება.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა სპორტულ ჟურნალისტთა სახელით მადლობა გადაუხადა მოჭადრაკეებს იმ სიხარულისთვის, რომელიც მათ თანამემამულეებს მიანიჭეს.

**კოტე მგალობლიშვილი**

ARMENIA 1996
32nd WORLD CHESS OLYMPIAD

## ქალები

| ადგ. | ქვეყანა | ქულა | ბუხჰოლცი | მქ | ბერგერი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | საქართველო | 30.0 | 349.5 | 23 | 185.0 |
| 2. | ჩინეთი | 28.5 | 347.0 | 21 | 203.8 |
| 3. | რუსეთი | 28.5 | 345.5 | 19 | 176.3 |
| 4. | უკრაინა | 26.5 | 348.5 | 18 | 125.3 |
| 5. | უნგრეთი | 26.0 | 349.0 | 19 | 151.0 |
| 6. | რუმინეთი | 25.5 | 348.0 | 19 | 139.3 |
| 7. | ისრაელი | 25.0 | 343.0 | 17 | 114.3 |
| 8. | ყაზახეთი | 24.5 | 340.5 | 19 | 146.3 |
| 9. | პოლონეთი | 24.5 | 339.5 | 18 | 124.0 |
| 10. | ინგლისი | 24.0 | 346.0 | 16 | 152.5 |
| 11. | ინდონეზია | 24.0 | 309.5 | 14 | 132.8 |
| 12. | ჩეხეთი | 24.0 | 305.5 | 18 | 105.0 |

## კაცები

| ადგ. | ქვეყანა | ქულა | ბუხჰოლცი | მქ | ბერგერი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | რუსეთი | 38.5 | 451.5 | 26 | 417.3 |
| 2. | უკრაინა | 35.0 | 442.0 | 24 | 376.5 |
| 3. | აშშ | 34.0 | 448.0 | 19 | 296.8 |
| 4. | ინგლისი | 34.0 | 447.5 | 23 | 365.0 |
| 5. | სომხეთი-1 | 33.5 | 452.0 | 19 | 297.8 |
| 6. | ესპანეთი | 33.5 | 451.5 | 21 | 329.3 |
| 7. | ბოსნია და ჰერცოგოვინა | 33.5 | 439.5 | 18 | 279.8 |
| 8. | საქართველო | 33.0 | 446.0 | 18 | 280.5 |
| 9. | ბულგარეთი | 33.0 | 443.0 | 20 | 304.3 |
| 10. | გერმანია | 33.0 | 440.0 | 19 | 289.8 |
| 11. | შვედეთი | 33.0 | 434.0 | 16 | 241.5 |
| 12. | ისლანდია | 33.0 | 426.5 | 18 | 263.0 |
| 13. | ჩინეთი | 32.5 | 448.5 | 16 | 244.5 |
| 14. | პოლანდია | 32.5 | 436.5 | 19 | 290.5 |
| 15. | არგენტინა | 32.5 | 430.0 | 15 | 223.0 |
| 16. | ხორვატია | 32.0 | 443.5 | 17 | 258.8 |
| 17. | ისრაელი | 32.0 | 443.5 | 17 | 257.5 |
| 18. | უნგრეთი | 32.0 | 440.5 | 18 | 276.5 |
| 19. | უზბეკეთი | 32.0 | 434.5 | 18 | 269.8 |
| 20. | ლატვია | 32.0 | 424.5 | 15 | 217.5 |



# კახიაშვილი საბერძნეთის პრეზიდენტს კიდევ ერთ ოლიმპიურ ოქროს დაპირდა

## ჩვენები კი სიდნეიში შვიდი ძალოსნის წაყვანას აპირებენ

წინა „სარბიელში" ვწერდით, რომ საქართველოს ძალოსნობის ფედერაციამ ჯერ ყრილობა გამართა, მერე კი ჩემპიონატი. ყრილობაზე ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს რამაზ გურგენიძე, რომელსაც ჩვენი ძალოსნების სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებზე გავესაუბრეთ.

**— თქვენ, რომ იტყვიან, ძველი პრეზიდენტი ბრძანდებით, ასე რომ, სამომავლო გეგმები უკვე დასახული გექნებათ.**

— მიზნად იმასვე ვისახავთ, რასაც ადრე ვისახავდით — რაც შეიძლება მეტი წარმატება ამ ჩვენი გაუსაძლისი ყოფის მიუხედავად, ჩვენეული წილის დადება ქართული სპორტის წინსვლის საქმეში.

ატლანტის ოლიმპიადისთვის 5 ლიცენზია კი მოვიპოვეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მუხრან გოგიასა და ბიძინა მიქიაშვილის შედეგებზე ითქმოდა, საერთაშორისო დონისააო, ამიტომაც შედარებით სუსტთა ოლიმპიადაზე წაყვანა მიზანშეუწონლად ჩავთვალეთ. სიდნეისთვის კი შვიდი სრულფასოვანი ძალოსნით გამოსვლას ვისახავთ მიზნად.



რამაზ გურგენიძე მუხრან გოგიასთან და ბიძინა მიქიაშვილთან ერთად

**— ორის შვიდად ქცევა პატარა საქმე არ არის. ამას დიდი და გონივრული გარჯა დასჭირდება...**

— ჩვენი დევიზიც ეს არის: მუშაობა და კიდევ მუშაობა. მაღალი შედეგები მარტო სპორტსმენთა პროფესიონალიზმზე როდია დამოკიდებული. აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს მწვრთნელთა საქმიანობის ხარისხიც. საამისოდ სისტემატურად უნდა ეწყობოდეს მწვრთნელთა სემინარები. მწვრთნელი ყველა სიახლის საქმის კურსში უნდა იყოს, უნდა ერკვეოდეს იმ საკითხებშიც, წვრთნის პროცესში რომ სჭირდება — მედიცინა იქნება, ბიოლოგია თუ ფსიქოლოგია. ამ სემინარების მოწყობა მაინც ხომ შეგვიძლია, რა დიდი ხარჯები ამას უნდა. დასხდნენ მწვრთნელები და პროფესიულად გაარჩიონ ჩვენი უძლიერესი ძალოსნების მზადებისა და ვარჯიშის მეთოდიკა, რამ გაუმართლათ ამ საქმეში და რამ ვერა. მაგრამ, სამწუხაროდ, მწვრთნელთა კონტინგენტი ძალიან შეგვიმცირდა. ბევრმა მათგანმა სხვა საქმიანობას მოჰკიდა ხელი. კიდევ კარგი, ისეთი სპეციალისტებიც გვყავს, საქმე ფანატიკურად რომ უყვართ. ესენი რომ არა... ამიტომაც იმსახურებენ დიდ მადლობას შოთა წერეთელი, გურამ ფარულავა, ავთანდილ გახოკიძე, ზურაბ ანთაური, იური ნებიერიძე, მალხაზ ლომთაძე და გურამ მამიაშვილი, რომელთაც, მართალი თუ გნებავთ, ბევრით ვერაფრით ვეხმარებით, მაგრამ ისინი საყვარელ საქმეს მაინც არ ღალატობენ.

**— რა აიძულებს მწვრთნელებს ძალოსნობიდან წასვლას, ძნელი მისახვედრი არ არის — უმთავრესად, რა თქმა უნდა, უფულობა. სამომავლოდ ამ საქმის მიხედვასაც თუ აპირებთ?**

— ახლა მართლაც ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული: საწვრთნელი პროცესი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სპორტსმენთა და მწვრთნელთა პროფესიული ზრდა. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯანო ბაგრატიონი დაგვპირდა, გაისიდან ფინანსური მდგომარეობის გამოკეთებაში დაგეხმარებითო. იმედი მოგვეცა, რომ სპორტსმენთა და მწვრთნელთა მატერიალური უზრუნველყოფა გაუმჯობესდება, თანაც, ამ კაცის გვჯერა, იგი ყოველთვის გვერდში გვედგა, ჩვენს წვალებას ხედავდა და სათანადოდ აფასებდა.

დახმარება არც ოლიმპიურ კომიტეტს დაუკლია და ახლაც ასეა. აგერ, ახლახან, ერთი თვის წინ, ოლიმპიურმა კომიტეტმა 30 ათასი ამერიკული დოლარი მოგვცა. ამ თანხის ნაწილით ძალოსნობის დარბაზს კაპიტალურად შევაკეთებთ, მოვაგვარებთ გათბობის პრობლემას, საშხაპეებში წყლის გამაცხელებლებს დავამონტაჟებთ, ერთი სიტყვით, ძალოსნებს ნორმალური ვარჯიშის პირობებს შევუქმნით. თანხის ნაწილი კი საქმეში ჩავდეთ და ამონაგებს ძალოსნობის განვითარებას მოვახმართ. თუმცა, ეს ყველა პრობლემას მაინც ვერ გადაგვიწყვეტს, ამიტომ, ჩემი აზრით, სპორტის მართვის სადავეები სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს.

**— სახელმწიფო სახელმწიფოდ, მაგრამ სპორტს მეცენატებიც უნდა ჰყავდეს.**

— ქართველ ძალოსნებს სპონსორი არ გვყავს, საქმოსნებს ალბათ არ უყვართ სპორტის ეს სახეობა, ის კი არა, ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში სპორტის დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის სახელით ოფიციალურადაც მივმართეთ დახმარების თხოვნით იმ რეგიონებს, საიდანაც ქართველი ოლიმპიელი ძალოსნები იყვნენ, მაგრამ თითი თითზე არავის დაუკარებია.

**— ასეთი გულგრილობა ჩვენს წამყვან ძალოსნებს კახიაშვილივით მამლუქობის გზას ხომ არ გაუყენებს?**

— გულგრილობა რომ ხეირს არ დაგვაყრის, ამას რა ჩემი დასტური უნდა, მაგრამ, ღვთის მადლით, ნაკრების ლიდერები მუხრან გოგია და ბიძინა მიქიაშვილი წასვლას არსად აპირებენ და მხოლოდ საქართველოს სახელით სურთ გამოსვლა. არადა, მათაც ჰქონდათ მიწვევები პოლონეთიდან, შეერთებული შტატებიდან, საბერძნეთიდან. იქ ისინი, იცოცხლეთ, უკეთეს პირობებში იქნებოდნენ, მაგრამ სამშობლო მაინც არ დატოვეს.

**— სიტყვამ მოიტანა და, კახიაშვილისა ხომ არ იცით რაიმე ახალი?**

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ კახი საბერძნეთის პრეზიდენტს დაპირდა, ჩემს ახალ სამშობლოს ერთ ოლიმპიურ ოქროსაც მოვუტანო.

**— ახლახან დამთავრებულ საქართველოს ჩემპიონატში გიორგი ასანიძეც ასპარეზობდა და თავის წონაში დიდი უპირატესობითაც გაიმარჯვა. არადა...**

— ვიცი, რისი თქმაც გსურთ. ასანიძე მართლაც დისკვალიფიცირებულია ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ და ჩვენ ამ გადაწყვეტილებას სავსებით ვიზიარებთ, მაგრამ, ყველას მოეხსენება, რომ არსებობს იმის პრაქტიკაც, რომ ცდუნებულ სპორტსმენებს ხელაღებით არ იშორებენ. გეტყვით იმასაც, რომ დეკემბერში საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე დასჯილ სპორტსმენთა შეწყალებაზეც უნდა იმსჯელონ და, იმედი გვაქვს, ასანიძის საკითხი ჩვენთვის სასიკეთოდ გადაწყდება. გიორგი დისციპლინიანი, შრომისმოყვარე ბიჭია და, მჯერა, ჩვეულ ფორმას იოლად აღიდგენს.

**— 11 ოქტომბერს ანთალიაში საერთაშორისო ტურნირი იწყება. როგორია ამ შეჯიბრების დონე და ვინ გაემგზავრება ჩვენებიდან იქ?**

— ვერ ვიტყვი, რომ უმაღლესი კატეგორიის ტურნირი იყოს, მაგრამ მუდამ ჩინებულად არის ორგანიზებული და არც ცნობილ სპორტსმენებს მოისაკლისებს ხოლმე. ანთალიაში ახალგაზრდებს ვგზავნით — ალეკო ნოზაძეს, გიორგი კობალაძეს, ზურა ავთანდილაშვილს, კობა ალავიძეს, დავით აბრამიშვილს, გიორგი ნუცუბიძეს, გელა გოგიას. ისინი პერსპექტიული ბიჭები არიან და თურქეთში ძირითადად გამოცდილების შესაძენად ვუშვებთ.

**ერეკლე კიკილაშვილი**

ევროპის თასი. II ჯგუფი. IV ტური

# ანკარაში მსაჯებმაც მოგვიგეს...

ფეთ (ანკარა, თურქეთი) —
ვითა (თბილისი, საქართველო)
92:80 (48:33)

მსაჯები: მარიან სტოიკოვსკი (მაკედონია), მოშე ბიტონი (ისრაელი)

8 ოქტომბერი. ანკარა

ფეთ: ფინარი (7), ყაჯარი, რასნა (3), თუნჯერი (2), გირგინი (19), ვინსლოუ (19), ხაჯაჭი (4), მილოშევიჩი (27), ილმაზი (11)

ვითა: თორთლაძე (4), ბერუაშვილი, ხანაძე (16), ორმოცაძე (3), უსტიაშვილი (3), ნაცვლიშვილი (24), შენგელია (4), ქარაბაკი (19), დადიანი (5), ჩხეიძე (2)

პერსონალურები

ფეთ: ფინარი 2, რასნა 4, თუნჯერი 5, გირგანი 4, ვინსლოუ 4, მილოშევიჩი 4, ილმაზი 4

ვითა: თორთლაძე 2, ხანაძე 4, ორმოცაძე 1, ნაცვლიშვილი 4, შენგელია 5, ქარაბაკი 3, დადიანი 2, ჩხეიძე 5

8 ოქტომბერს დილით, დათქმულ დროს „ვითა“ მომავალი მატჩის ადგილზე, ფიბას დებულებით გათვალისწინებული კუთვნილი ვარჯიშის ჩასატარებლად მივიდა. უკვე მაშინ ვიგრძენით, რომ საქმე ისე ვერ წავიდოდა, როგორც სასურველი, უფრო სწორად კი, სამართლიანი იქნებოდა. ზუსტად 30 წუთის შემდეგ დარბაზში ფეთ-ს კალათბურთელები შემოვიდნენ და მათმა მწვრთნელმა ერგინმა ბესიკ ლიპარტელიანს დარბაზის დატოვება მოსთხოვა, აქაოდა, ჩვენ უნდა ვივარჯიშოთო. რა გაეწყობოდა, ვითელები სასტუმროში დაბრუნდნენ.

ანგარიში ანკარელთა იუგოსლავიელმა მილოშევიჩმა გახსნა, მაგრამ დადიანმა გაათანაბრა და ერთი საჯარიმოთი წინაც გაიყვანა თავისიანები. ეს იყო და ეს, მაკედონიელმა და ისრაელმა მსაჯმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ფეთ მუდმივად 15-20 ქულით ყოფილიყო წინ. მათ ჯერ შენგელია და მერე ჩხეიძე აბსოლუტურად უსამართლოდ გააგდეს. მსაჯებს აშკარად აუბა მხარი მაყურებელმა. მოედანზე ისროდნენ ყველაფერს — ცარიელ ბოთლებს, ლითონის მონეტებს... სხვათა შორის, „კოკა-კოლას“ ერთი ცარიელი ბოთლი ბეწვზე ამცდა.

ელექტროტაბლო კი სასწაულებს ახდენდა. როცა სურდა, ქულებს გვაკლებდა, თამაშის შეჩერებისას კი დროს მაინც აღნუსხავდა. ტექნიკური ოქმის სანახავად არცერთი ჩვენიანი არ მიუშვეს. მატჩის შემდეგ მწვრთნელთა კომენტარი გვსურდა, მაგრამ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციას აქ არად დაგიდევენ. მატჩის რუმინელმა კომისარმაც ინტერვიუზე ცივი უარი გვტკიცა.

მატჩის შემდეგ „ვითას“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ამ მატჩის შედეგს ფიბაში გააპროტესტებს. თურქებისა და რუმინელი კომისარის პასუხი ამგვარი იყო: „რაც გინდათ, ის დაწერეთ.“

**თამუნა ჯიშკარიანი**
ანკარიდან, საგანგებოდ „სარბიელისთვის“

**ბუდუჩნოსტი (პოდგორიცა, იუგოსლავია) — ლონდონ თაუერზი (ინგლისი) 103:96**

„ლონდონ თაუერზი“ მესამედ დამარცხდა ევროპის თასზე. მატჩის ბოლოს კი მისმა მწვრთნელმა კევინ ქედლმა ტექნიკური ჯარიმა მიიღო.

ქედლი დამთავრებამდე 46 წამით ადრე დაჯარიმდა. იმ დროს იუგოსლავიელები 96:94 იგებდნენ. დარჩენილ დროში მათ ზუსტად ისროლეს საჯარიმოები და 103:96 მოიგეს.

პირველი ტაიმის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე ლონდონელები წინ იყვნენ — 33:24. ეს, უმთავრესად პაულ დეფიშის დამსახურება იყო, ვინც აქამდე ოთხი სამქულიანი ჩააგდო. მაგრამ დეფიშმა მერე ველარაფერი შეძლო, რადგან მეორე ტაიმის დასაწყისში ხუთი პერსონალურის გამო მოედანი დატოვა. მის გზას გაუყვა ამერიკელი ჯო ჰუქსიც.

„ბუდუჩნოსტი“ შესვენებიდან 44 წამში დაწინაურდა და შემდეგ უპირატესობა აღარც დაუთმია. მის რიგებში საუკეთესო იყო სტეპანოვიჩი (33 ქულა). ლონდონელმა უკანახაზელებმა კარლ ბრაუნმა და დენი ლუისმა 23-23 ქულა დააგროვეს.

**იან ვაითელი**
„დეილი ტელეგრაფი“, 9 ოქტომბერი

**კიორმენდი (უნგრეთი) — რიელო (ვერონა, იტალია) 97:93**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კიორმენდი | 4 | 3 | 1 | 331:315 | 7 |
| რიელო | 4 | 3 | 1 | 343:284 | 7 |
| ფეთ | 4 | 3 | 1 | 327:305 | 7 |
| ბუდუჩნოსტი | 4 | 1 | 3 | 328:337 | 5 |
| თაუერზი | 4 | 1 | 3 | 292:329 | 5 |
| ვითა | 4 | 1 | 3 | 303:354 | 5 |

თანაბარქულებიანი გუნდების ადგილების განაწილებისას უპირატესობა ჯერ ენიჭება ერთმანეთში მოგებას, შემდეგ — ერთმანეთთან შეხვედრებში ჩაგდებული და მიღებული ბურთების სხვაობას

## ვილკინსი სან-ანტონიოში

დომინიკ ვილკინსს ათენის „პანათინაიკოსთან“ ორწლიანი კონტრაქტი კი ჰქონდა დადებული, მაგრამ ერთი წლის გასვლის შემდეგ, ანუ ამ სეზონის წინ, ამერიკელმა გუდანაბადი აიკრა და საბერძნეთიდან გაურკვეველი მიმართულებით გაქცინარდა. ახლაღა გაირკვა, რომ ვილკინსი კვლავ ნბა-ს დაუბრუნდა. მან „სან-ანტონიო სპურზთან“ მოაწერა ხელი კონტრაქტს.

სანანტონიოელთა ლიდერი, დევიდ რობინსონი ფრიად კმაყოფილია ახალი შენაძენით: „დომინიკს მხრებზე ისეთი თავი აბია, რომელმაც იცის, როდის რა გააკეთოს. ერთი ეგაა, რომ ჩვენს გუნდს ხუთეული უკვე ჰყავს და მწვრთნელ ბობ ჰილს არჩევანის გაკეთება მოუწევს.“

სანამ ჰილი თავის აზრს იტყოდა, ვილკინსმა დაასწრო: „სულაც არა მაქვს პრეტენზია, ხუთეულში დამაყენებენ თუ არა მე. სათადარიგო მოთამაშის სტატუსიც მაწყობს. შემცვლელმაც ბევრი რამ შეიძლება გადაწყვიტოს.“ შევახსენებთ, რომ ვილკინსი 37 წლისაა. წელს ევროპის ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა „პანათინაიკოსს“, ხოლო ნბა-ს ყველა დროის ბომბარდირებში მერვე ადგილზეა.

## „დალასს“ ავადმყოფობა დაერია

„დალას მავერიქსს“ რაღაც უბედურება სჭირს. პარასკევს გუნდი საჩვენებელ მატჩებს იწყებს, ხოლო მისი რვა წამყვანი მოთამაშიდან ხუთი დაშავებულია. გამთამაშებელ ჯეისონ კიდს შაბათს მუხლი გაუშუქეს და საოპერაციო ხარო, უთხრეს. სამშაბათს დილით კიდს განმეორებითი ტესტი ჩაუტარეს და დაამშვიდეს. მხოლოდ მყესების დაჭიმვა გაქვსო. კიდი ნაწყენია: „ვარჯიში მინდოდა, მაგრამ მითხრეს, არ შეიძლებაო და დრო ტყუილად დამაკარგვინეს.“

ახალბედა ცენტრი სამაკი უოქერი, სავარაუდოდ ნოემბრის შუა რიცხვებამდე ვერ ითამაშებს. ვარჯიშისას უოქერმა მარჯვენა ფეხის ოთხთავა კუნთი დაიშავა. „მავერიქსის“ მწვრთნელმა ჯიმ კლიმონსმა აღნიშნა: „ბოლო დღეებში უოქერმა შესამჩნევად მოუმატა. მისი ტრავმა სერიოზულია, მაგრამ არა კატასტროფული“.

ფორვარდმა კრის გატლინგმა შაბათს მკლავის კუნთი გაიწყვიტა და ასევე ორ კვირას გამოტოვებს ნოემბერში.

ჯამალ მაშბურნმა, დალასელთა ერთ-ერთმა ლიდერმა, თებერვალში მარცხენა მუხლის ოპერაცია გაიკეთა. მისი რეაბილიტაცია ნელ-ნელა მიმდინარეობს, მაგრამ ჯამალი იმედოვნებს, რომ 1 ნოემბერს, სეზონის გახსნის მატჩში „დენვერის“ წინააღმდეგ მოედანზე მაინც გავა.

უკანახაზელ ტონი დუმასს მარჯვენა კოჭი ამოუტრიალდა. ასე რომ, სეზონის წინ კლიმონსს თავსატეხი არ აკლია.

## „ლეიკერზი“ ახლა შეფიქრიანდა...

„ლოს-ანჯელეს ლეიკერზმა“ ივლისში „ორლანდოდან“ გადმოიბირა შაკილ ონილი და თან ზღაპრული კონტრაქტი დაუდო: 7 წელიწადში კალათბურთელი 120 მილიონს მიიღებს. ამჟამად „ლეიკერზი“ ჰავაის კუნძულებზე გადის შეკრებას, ანუ, როგორც ნბა-ში ამბობენ — საწვრთნელ ბანაკს. კლუბის მფლობელი ჯერი ბასი დაესწრო ერთ-ერთ ვარჯიშს და შაკილის ხილვის შემდეგ თქვა: „შაკის კონტრაქტი კიდევ ერთხელ ავიღე ხელში და ვთქვი, ღმერთო, ეს რა ჩავიდინე?“

სინამდვილეში ბასმა მშვენივრად იცის, რაც ჩაიდინა. მან ონილი ერთადერთი მიზნისთვის დაითრია: ფლეი-ოფებში წარმატების მიღწევისთვის. ბოლო წლებში „ლეიკერზმა“ შინ ორი-სამი ფლეი-ოფის მატჩი გამართა. შაკილის დახმარებით ამგვარი მატჩების რაოდენობა მომავალ სეზონებში, ალბათ, 8-10-მდე გაიზრდება. ამდენად, შაკის გადაყვანაში ჩადებული ფული ბილეთების გაყიდვით კვლავ კლუბის სალაროში აღმოჩნდება. „ლეიკერზმა“ წელს საგრძნობლად გააძვირა ბილეთები. ყველა ხვდება, რომ ონილის გამო, მაგრამ ოფიციალურად ამბობენ, რომ „გრეით ვესტერნ ფორუმის“ ტევადობა 17-დან 14 ათასამდე შემცირდა და იმიტომო.


# საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა

## — ჩვენთვის და ჩვენი მომავლისათვის!

● სახელმწიფო თითოეულ მომავალ დედას აზღვევს ორსულობისა და მშობიარობის ხარჯებისაგან 500 ლარის ფარგლებში, ხოლო თითოეულ ახალშობილს — 1 წლის მანძილზე სამედიცინო მეთვალყურეობისა და მკურნალობის ხარჯებისაგან 2 000 ლარის ფარგლებში.

●მომავალო დედებო!
აუცილებლად მიმართეთ ორსულობის 13 კვირამდე ქალთა კონსულტაციას, რათა გააფორმოთ დაზღვევა და მიიღოთ სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის პოლისი.

● გახსოვდეთ: სადაზღვევო პოლისის ფლობა აუცილებელი პირობაა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამით გათვალისწინებული უფასო მეთვალყურეობა და სამეანო დახმარება გაგიწიონ.

● ორსულობის დროული დადგენა და სამედიცინო მეთვალყურეობა აუცილებელია, რათა მშობიარობამ გაურთულებლად ჩაიაროს და ბავშვი ჯანმრთელი დაიბადოს! შეასრულეთ თქვენი მოვალეობა საკუთარი თავისა და მომავლის წინაშე!

●მომავალო დედებო!
მთავარია არ დაიგვიანოთ და ორსულობის 13 კვირამდე მიმართოთ ქალთა კონსულტაციას. აქ თქვენ გაგიწევენ უფასო სამედიცინო მეთვალყურეობას და მოგცემენ ყოველგვარ ახსნა-განმარტებას თქვენი უფლება-მოვალეობის შესახებ!



# უსაფრთხო დედობისა და ბავშვთა გადარჩენის

# სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა

# ჩოგბურთი

## ავსტრია მოასრიალეს. ახლა, ნუთუ, აშშ-ის ჯერია

ამაოდ დაშვრნენ ავსტრიელი ჩოგბურთის მამები და მათი ჯილა, მსოფლიოს მესამე ჩოგანი თომას მუსტერი. მათ ორშაბათს, ლონდონში, 30-გვერდიანი პაკეტი წარუდგინეს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) დევისის თასის ოთხკაცა კომიტეტს — ბრაიან თობინს (ავსტრალია, ITF პრეზიდენტი), ნილ ფრეზერს (ავსტრალია), ხუან მარგეცს (ესპანეთი), ლეზ სნაიდერს (აშშ) — და 80 წუთი ახსნა-განმარტებაც აძლიეს, მაგრამ ITF-მა მაინც მიაფუჩეჩა ბრაზილიელ ქომაგთა უმსგავსო საქციელი. მუსტერი ამტკიცებდა, 21 სექტემბერს, სან-პაულუში, დევისის თასის მატჩის წყვილთა შეხვედრისას კორტიდან იმად გავედი, რომ მასპინძელი ქომაგები მემუქრებოდნენ, აქედან ცოცხალი ვერ წახვალო, თან მაგინებდნენ, მაფურთხებდნენ, სარკით თვალებში მიჭყიტინებდნენ და მცირ-მცირე ნივთებსაც მესროდნენო.

ავსტრიელები მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გადათამაშებას ითხოვდნენ, ბრაზილიელები და პორტუგალიელი მსაჯი კი ამტკიცებდნენ, მუსტერი ლაჩარია, თორემ მაყურებლებს განსაკუთრებული არაფერი ჩაუდენიათო. ავსტრიელები რომ გამტყუნებულიყვნენ, მათ ან დევისის თასის ერთი-ორი დონით ჩამოალაბორანტებდნენ, ანაც ერთწლიან დისკვალიფიკაციას მიუსჯიდნენ.

ფედერაციამ არც მწვადი დაწვა და არც შამფური. დამტკიცდა ანგარიში — 4:1 ბრაზილიის სასარგებლოდ. ამით ავსტრია მსოფლიო ჯგუფიდან გავარდა. გარდა ამისა, მის ფედერაციას დაუკავეს ის 59 ათასი დოლარი, მატჩში მონაწილეობისთვის რომ ერგებოდა. რაც შეეხება მუსტერს, იგი მეტად აღარ დაუსჯიათ — 8 ათასი დოლარი ჯარიმა აკმარეს.

ავსტრიელებს განაჩენმა გულები დაწყვიტათ. გუნდის კაპიტანმა რონალდ ლაითგებმა ITF-ზე თქვა, მოთამაშეთა დაცვის მაგივრად თავს უფრთხილდება, ხულიგნობის წაყრუებით კი ნაციონალისტ გულშმატკივრებს ათამამებსო.

სამშაბათს იმავე კომიტეტმა იქვე თასის საგაისო გათამაშების წილისყრა გამართა. მანამდე მოეწყო განთესვა. ისე მოხდა, რომ აშშ და ბრაზილია ერთ წყვილში მოხვდნენ. ITF უარესს ვერც ისურვებდა: იმას, რაც ავსტრიასთან გაუვიდა, აშშ-ს ხომ ველარ მისწევს!

გასარკვევი იყო მასპინძლის ვინაობაც. ემანდ, შარში არ გავეხვიოო და თობინმაც ქუდიდან ბურთულის ამოღებამდე თვალები დახუჭა და საზოგადოებასაც ზურგი შეაქცია, მაგრამ მასპინძლად მაინც ბრაზილია ამოუვიდა. ერთი სიტყვით, გაისად ამერიკელ ბობოლებს მოუწევთ სან-პაულური სტუმართმოყვარეობის დაჭაშნიკება.

### დევისის თასი - 97

მერვედფინალი (7-9 თებერვალს)

ბრაზილია — აშშ (2), რუმინეთი — პოლანდია (7); ავსტრალია — საფრანგეთი (3), ჩეხეთი (5) — ინდოეთი

იტალია (6) — მექსიკა, ესპანეთი — გერმანია (4); სამხრეთი აფრიკა — რუსეთი (8), შვედეთი (1) — შვეიცარია

წყვილებში პირველი მასპინძლები წერიან. ფრჩხილებში განთესვის ნომრებია მითითებული.

დიდ მატჩს ელიან ესპანეთში, სადაც იქაურები გერმანიას „უზანტეს" საფარზე — წითელ თიხაზე ათამაშებენ.

მეოთხედფინალები გაიმართება 4-6 აპრილს, ნახევარფინალები — 19-21 სექტემბერს, ხოლო ფინალი — 28-30 ნოემბერს.

სულ ყველა, ხუთივე დონეზე 127 გუნდია. მათგან სამს — მადაგასკარს, ტაჯიკეთსა და უგანდას წელს არ უასპარეზია. თუ ვისთან მოხვდა საქართველო, უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები არ იუწყებიან.

## ლათინები ანგლო-საქსებს უტევენ

მსოფლიო სპორტის უმაღლეს ეშელონებში გაბატონებული ლათინები — სამარანჩი, აველანჟი და ნებიოლო ამ ერთხელაც მიდგნენ ანგლო-საქსებს. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) მამამ — იტალიელმა პრიმო ნებიოლომ 1998 წლის მსოფლიო თასი იოჰანესბურგში (სამხრეთი აფრიკა) იმ დროს დაანიშნინა, რომ მისმა მონაწილეებმა გაჭირვებით ან სულაც ვერ ჩაუსწრონ ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებს, კუალა-ლუმპურში (მალაიზია) რომ უნდა გაიმართოს. არადა, ეს შეჯიბრი ფაქტობრივად მთელი ინგლისურენოვანი სამყაროს (აშშ-ის გამოკლებით) ოლიმპიადაა და მასში 50-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

# რაგბი



ბადრი კეთილაძის ფოტო

## დღეს: ყოჩები — გუმარი

## იქნება კვირას: საქართველო — რუსეთი

ათი დღის შუალედით თბილისში ორი ფრიად მნიშვნელოვანი მატჩია: დღეს, 10 ოქტომბერს, ვაკეში, დღის სამ საათზე ითამაშებენ ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერები — „გუმარი" და „ყოჩები", აქამდე ერთმანეთისთვის თითო მატჩი რომ მოუგიათ და სინიც თითოჯერ წაურთმევიათ. მერე გაილევა სამზადისის კიდევ ათი, დაძაბული დღე, დადგება 20 ოქტომბერი და „გუმარის", „ყოჩების", „ქორებისა" და „აიას" უკეთესი წევრები ერთ, „ბორჯღალოსან" გუნდად შეიკრებიან, რათა საქართველო ეროვნულ სტადიონზე რუსეთს მსოფლიო თასის პროგრამით შეერკინოს.

## ქურციკეთში, კივეთსა და კენგურუეთში

მას აქეთ, რაც ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსმა" ხუთი თამაშიდან ოთხჯერ დაუმარცხათ სათაყვანო „ქურციკები", სამხრეთაფრიკელ თეთრებსა და ფერადებს გულის მოსაოხებლად შინაური ქარრის თასიღა დარჩენიათ.

თუ ამ შეჯიბრში მონაწილეობა აქამდე ოდენ რჩეულთა — მეგა-პოლისების წარმომადგენელი ექვსი გუნდის უზენაესი უფლება იყო, წელს ქვეყნის საზოგადო პოლიტიკური გეზის შესაბამისად აქამდე თეთრების საპარპაშო რაგბიც გადემოკრატიულდა, მისი უპირველესი ჯილდოს მოსაპოვებლად კი შეჯიბრში ერთბაშად 14 გუნდი ჩაება. მათი უმრავლესობა აქამდე უმცროს ლიგებში ასპარეზობდა, მაგრამ ორმა მათგანმა ექს-ელიტის წარმომადგენელი ალმ. კონცხი (პორტ-ელიზაბეთი) პლეი-ოფს მიღმა მაინც დატოვა.

საგაისო ზე-12-ში ასპარეზობის უფლება მოიპოვა ქვეჯგუფების ორ-ორმა მოწინავემ. ნატალი (დურბანი), ტრანსვაალი (იოჰანესბურგი) და ჩრდ. ტრანსვაალი (პრეტორია) იქ წელსაც თამაშობდნენ, დას. კონცხის (ქეიფთაუნი) ადგილი კი ნარინჯს (ბლუმფონტეინი) ერგო. პირველ ეტაპზე ნატალმა ტრანსვაალს ორივეჯერ მოუგო — 34:24 (შინ) და 37:36 (სტუმრად), ჩრდ. ტრანსვაალმა კი ნარინჯთან სტუმრად 25:27 წაგების შემდეგ შინ სრულფასოვანი რევანში აიღო 51:30.

| „ა" ქვეჯგუფი | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ნატალი (I) | 12 | 0 | 0 | 673:212 | 24 |
| ტრანსვაალი (I) | 9 | 1 | 2 | 456:252 | 19 |
| სამხ. ალმ. ტრანსვ (III) | 6 | 2 | 4 | 292:363 | 14 |
| ბოლანდი (III) | 6 | 0 | 6 | 250:308 | 12 |
| ალმ. კონცხი (I) | 3 | 1 | 8 | 245:341 | 7 |
| საზღვარი (II) | 2 | 2 | 8 | 244:422 | 6 |
| დას. ტრანსვაალი (II) | 1 | 0 | 11 | 268:530 | 2 |
| **„ბ" ქვეჯგუფი** | | | | | |
| ჩრდ. ტრანსვაალი (I) | 11 | 0 | 1 | 707:207 | 22 |
| ნარინჯი (I) | 9 | 1 | 2 | 558:280 | 19 |
| დას. კონცხი (I) | 8 | 0 | 4 | 537:249 | 16 |
| გრიკვალენდი (II) | 7 | 1 | 4 | 437:322 | 15 |
| ალმ. ტრანსვაალი (II) | 3 | 0 | 9 | 281:552 | 6 |
| ჩრდ. ნარინჯი (III) | 3 | 0 | 9 | 243:529 | 6 |
| სამხ. დას. ოლქები (IV) | 0 | 0 | 12 | 216:840 | 0 |

გუნდებს ფრჩხილებში უწერიათ იმ ჯგუფის ნომერი, რომელშიც შარშან ასპარეზობდნენ

ნაღდი ქარრის თასი ახლაღა იწყება. მეოთხედფინალებში პარასკევს თამაშობენ ჩრდ. ტრანსვაალი — სამხ. ალმ. ტრანსვაალი და ნარინჯი — ბოლანდი; შაბათს: ნატალი — გრიკვალენდი და ტრანსვაალი — დას. კონცხი. ფინალი 26 ოქტომბრისთვისაა დანიშნული.

ამის შემდეგ ნაკრებს 10-მატჩა ტურნე ელის. „ქურციკები" ჯერ ეწვევიან არგენტინას, სადაც ორ პროვინციულ თამაშს (როსარიოსა და მენდოსაში) და ორ ტესტს (ბუენოს-აირესში, 9 და 16 ნოემბერს) გამართავენ. ამას მოყვება საფრანგეთის მოხილვა. რეგიონული მატჩები ბრივში, ლიონსა და ლილში გაიმართება, ტესტები კი — ბორდოში (30 ნოემბერს) და პარიზში (7 დეკემბერს). ტურნე კვირას, 15 დეკემბერს, კარდიფში უელსის ნაკრებთან თამაშით დასრულდება.

„ქურციკებს" ახალი უფროსობა ჰყავთ. ზელანდიური სერიის შემდეგ რაგბის კავშირთან კონტრაქტი გაუთავდა მენეჯერ მორნე დიუპლესის (დას. კონცხი). ამის შედეგად მწვრთნელმა ანდრე მარკპრააფმა (გრიკვალენდი) მისი თანამდებობაც შეითავსა და ერთპიროვნულ მმართველად იქცა. სამაგიეროდ, მას ერთბაშად სამი თანაშემწე დაუნიშნეს. ნიკ მოლითი (ბოლანდი) მორკინალებს გაწვრთნის, პიუ რის-ედვარდსი (ნატალი) — უკანახაზელებს, კარელ დიუპლესის (დას. კონცხი) თანამდებობას კი ოფიციალურად „ტაქტიკოსი" ჰქვია. მარკპრააფის სამივე თანაშემწე ყოფილი „ქურციკია".

ნაკრებში დაბრუნებას უპირებენ ნატალის 27 წლის გარემარბ ჯეიმზ სმოლსაც (31 კეპი), ვინაც ზელანდიასთან ერთ-ერთი ტესტის წინ ქეიფთაუნის სანაპირო ღამის ბარებში შენიშნეს და გუნდიდან დაითხოვეს. მარკპრააფმა სმოლის გამო ბრძანა, დიდი მობურთალია, მაგრამ თანაგუნდელებთან დაძაბული ურთიერთობა აქვს; თუ მათ ვერ მოურიგდება, ქურციკობას ველარ ეღირსებაო.

ამის შემდეგ სმოლი თავისთან დაიბარეს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა, მილიონერმა დოქტორმა ლუი ლეიტმა და უმცროსმა ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა იოჰან კლაასენმა. სათანადო დამოძღვრის შემდეგ მორაგბემ პირობა დადო, რომ ამიერიდან ისე მოიქცევა, როგორც ჭეშმარიტ პროფესიონალს შეჰფერის. ამის გამგონე ლეიტმა ნაკრებში აღსადგენად სმოლს მარკპრააფთან უშუამდგომლა.




**ამასობაში** ახალ ზელანდიაში სეზონი მთავრდება. ნაკრებს აღარაფერი ელის, იქაური „ბარბაროსები" კი ევროპაში აპირებენ ჩასვლას.

პარასკევს ბობოლა ოქლენდმა დაიბრუნა ექვსი კვირის წინ დაკარგული გარდამავალი რანფერლის ფარი (სწორედ ამისი გადმომღერებაა ჩვენი სინი!). ამ გუნდმა, შემადგენლობაში ნაკრების მორკინალთა უმრავლესობა რომა ჰყავს, სტუმრად, ჰამილტონში, 27:7 (ლელოებით 4-1) დაამარცხა ვაიქათო, მას ფარი წაართვა და ამ უქმეებზე ჯილდოს წელს უკანასკნელად დაიცავს. ოქლენდის მეტოქე იქნება მეზობელი ჩრდილოეთი ნავსაყუდელი, ვინაც ამ სეზონში ორჯერ უკვე სცადა ფარის მოპოვება, მაგრამ თარანაქისთანაც წააგო და ვაიქათოსთანაც.

**შაბათს** საკლუბო სეზონი დასრულდა ავსტრალიაში. სიდნეის საფურთაო სტადიონზე 25 ათასი კაცი დაესწრო ААМ-ის თასის დიდ ფინალს, რომელშიც დევიდ ქემფიზის „რენდვიქმა" 28:6 დაამარცხა „ვორინგა" და ბოლო ათი წლის მანძილზე მერვედ გახდა ჩემპიონი, თუმც კი შეჯიბრის წრიულ ეტაპზე მეოთხე ადგილი დაიჭირა.

ავსტრალიის ნაკრები „ვოლაბები" სამშაბათს უკვე ევროპაში იქნება, სადაც რვა კვირას დაყოფს და 13 მატჩს გამართავს. ინგლისი — ავსტრალიის მატჩის ტურნეს პროგრამაში ჩამატება მაინც ვერ მოხერხდა, „ვოლაბათა" სხვა ტესტების განრიგი კი ასეთია: 23. X იტალია (პადუაში); 9. IX შოტლანდია (მარიფილდში); 23. XI ირლანდია (დუბლინში); 1. XII უელსი (კარდიფში, საკვირაო თამაში). „ბარბაროსებისა" და სტუმრების გამოსათხოვარი შოუ თვიქენემში 7 დეკემბერს გაიმართება.

# ავტორბოლა

## ფორმულა 1

### ბოლო, XVI ეტაპი
### იაპონიის გრან-პრი

სუძუკა. 13 ოქტომბერი

ტრასის სიგრძე: 5 864 მ; რბოლის დისტანცია: 53 წრე — 310,792 კმ

კვალიფიკაციის რეკორდი: ბერგერი (ავსტრია, მაკლარენ-ჰონდა, 1991) 1.34,700 (222,919 კმ-სთ). საუკეთესო წრე რბოლისას: მენსელი (ინგლისი, უილიამს-რენო, 1992) 1.40,646 (209,749 კმ-სთ). გამარჯვებულის საუკეთესო დრო: შუმახერი (გერმანია, ბენეტონ-რენო, 1995) 1:36.52,930 (192,342 კმ-თ)

**შარშანდელი შედეგები:**

კვალიფიკაცია: შუმახერი (გერმანია, ბენეტონ-რენო) 1.38,023. საუკეთესო წრე რბოლისას: შუმახერი 1.42,976 (205,003 კმ-სთ). გამარჯვებული: შუმახერი 1:36.52,930 (192,342 კმ-სთ)

### წარსული

იაპონიის დიდი პრიზი, რომელიც პირველად 1976 წელს გათამაშდა, აქამდე მხოლოდ ორ ტრასაზე ჩატარებულა: ფუძიზე (1976-77) და სუძუკაზე (1987 წლიდან).

პირველი გამარჯვებული ამერიკელი მარიო ანდრეტი (ლოტუსი) იყო. ორ-ორი გამარჯვება აქვთ მოპოვებული გერჰარდ ბერგერს (1987, ფერარი; 1991, მაკლარენ-ჰონდა) და ბრაზილიელ აირტონ სენას (1988, 1989, მაკლარენ-ჰონდა).

1976 წელს ჩემპიონი ფუძიზე უნდა გამოვლენილიყო. წვიმაში ნიკი ლაუდამ (ავსტრია, ფერარი) რბოლა შეწყვიტა და ტიტულიც ჯეიმზ ჰანთმა (ინგლისი, მაკლარენ-ფორდი) მოიპოვა.

1977 წელს ჩემპიონატის დებიუტანტი ჟილ ვილნევი (კანადა, ფერარი) შვედი პეტერსონის „ტირელის" უკანა ბორბალს წამოედო, ჰაერში აიჭრა და ტრასის მიღმა დაეცა. პილოტს არაფერი დაშავებია, ორი მაყურებელი კი იმსხვერპლა.

1988 წელს, სუძუკაზე, ჩემპიონობის ბედი თანაგუნდელებს — „მაკლარენის" პილოტებს აირტონ სენასა და ფრანგ ალენ პროსტს უნდა გადაეწყვიტათ. თავიდან პროსტი ლიდერობდა. შემდეგ სენამ მისი გასწრება სცადა. მაგრამ ბოლიდები ერთმანეთს წამოედნენ და ტრასიდან გავარდნენ. პროსტმა რბოლა შეწყვიტა, სენა კი ბოქსებში შევიდა, დაზიანებული წინა ფრთა გამოცვალა, ასპარეზობა გააგრძელა, დანაკლისი აინაზღაურა და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. კარგა ხნის ბჭობის შედეგად ორგანიზატორებმა ბრაზილიელს შედეგი გაუუქმეს — ავარიის ადგილიდან ტრასის მონაკვეთის მოჭრის გამო დისკვალიფიკაცია მისცეს. გამარჯვება იტალიელ ალესანდრო ნანინის (ბენეტონი) ერგო.

1990 წელს იაპონიის „დიდი პრიზი" კვლავ სენასა და პროსტის ავარიით აღინიშნა. გამარჯვება ამჯერადაც „ბენეტონის" პილოტს, ოღონდაც ნელსონ პიკეს (ბრაზილია) დარჩა.




### როგორ გადიან ტრასას

სუძუკას ტრასა საკმაოდ რთულია. მის გავლას პილოტები ასე ამჯობინებენ:

სასტარტო სწორის მომყოლ „ფერსთ კურვში" შესვლისას 6 საფეხურიდან ნელნელა ამუხრუჭებენ 2-მდე, მოსახვევის შემდეგ კი 3-ს რთავენ და ასე გაივლიან მომდევნო „S-კურვს", მომდევნო „დანლოპ კურვს" კი 4-ით გადიან და 5-მდე აჩქარდებიან;

შემდეგ ამუხრუჭებენ, „დეგნერ-კურვს" 2-ით გაივლიან და ნელნელა 5-მდე აჩქარდებიან, კვლავ ამუხრუჭებენ და „ჰეარპინის" (თმის სარჭი) მოსახვევში 1 სიჩქარეს რთავენ, აჩქარდებიან და ასე გადიან მომდევნო ორ მარჯვენა მოსახვევს;

აღწევენ 5 სიჩქარეს და „სპუნ კურვის" წინ 3-მდე ამუხრუჭებენ, აქედან გამოსვლისას აჩქარდებიან 6 საფეხურამდე, გაივლიან მომდევნო ორ მარცხენა მოსახვევს და მაქსიმალურ სიჩქარეს — 320 კმ-სთ აღწევენ.

მერე კვლავ დამუხრუჭებას იწყებენ, „კასიოს" შიკანში 1-საც რთავენ და სტარტის სწორზე გასასვლელად კვლავ აჩქარებას იწყებენ, თვით სწორზე კი 6 საფეხურზე გადადიან. საწვავის ხარჯი ერთ წრეზე 3,75 ლიტრს აღწევს.

ამ საინტერესო და ტექნიკური ტრასის შედარებით ნელ მოსახვევებში სტაბილურობის მისაღწევად მანქანის ფრთებს უფრო მაღალი კუთხით აყენებენ, ხოლო სიჩქარეთა კოლოფი მოკლე დიაპაზონებით ირჩევა.

### რას ველოდეთ

კვირის რბოლა მეტად დაძაბული უნდა გამოვიდეს, რაკი გადასაწყვეტია, თუ ვინ გახდება მსოფლიოს 25-ე ჩემპიონი და რომელ გუნდს ექნება გაისად პირველი ნომერი: „უილიამსსა" თუ პილის ახალ საჯინიბოს — „ეროუზს".

პილს მცირე მატერიალური (9 ქულა) და ფსიქოლოგიური უპირატესობა აქვს. საჩემპიონოდ მას ნებისმიერ ქულიან ადგილზე გასვლა ეყოფა. ამან შეიძლება მის ტაქტიკაზე იმოქმედოს და დეიმონმაც გულზე მეტად გონის კარნახით წარმართოს რბოლა: გაუფრთხილდეს ბოლიდს, შეხლა-შემოხლას აარიდოს თავი, ჩასათვლელი ქულა მოიპოვოს და ჩემპიონის გვირგვინიც დაიდგას. მისმა მეტოქემ — კანადელმა ჟაკ ვილნევმა გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლოს, მაგრამ მარტო ეს ტიტულის მოსაპოვებლად ვერ ყოფნის: პილი ან რბოლას უნდა გამოეთიშოს, ანაც ექვსეულს მიღმა დარჩეს.

იაპონიის დიდი პრიზი „ფერარისთვის" 570-ე იქნება. ფინელი მიკა ჰაკინენი (მაკლარენი) მე-80-ედ იასპარეზებს, მისი თანამემამულე მიკა სალო (ტირელი) კი სტარტზე 35-ედ გავა.

### სად ვუყუროთ

ასპარეზობის ტელე-რეპორტაჟს რუსეთის РТР კვირა დილით, აქაური დროით 9 საათზე გეგმავს.

**ალეკო ჭაბუკიანი**

ჯეკი სთიუართის ახალმა გუნდმა ორშაბათს ოთხი წლით დაუდო კონტრაქტი 23 წლის დანიელ მრბოლ იან მაგნუსენს, რომელიც შარშანწინ ჯეკის ვაჟის — პოლის ხელმძღვანელობით ბრიტანეთის ფორმულა-3-ის ჩემპიონი იყო, წელს კი ინდიკარში ასპარეზობდა. მაგნუსენს ფორმულა-1-ში აქამდეც ურბოლია: შარშან წყნარი ოკეანის დიდ პრიზზე „მაკლარენი" მართა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და CROCO წარმოგიდგენთ

# სპორტული ლატარია №3

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები სამივე შესაძლო შედეგისთვის. შედეგის გამოცნობისას მოთამშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და შედეგის შესაბამისი კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგის შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და შესაბამისად მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის კოეფიციენტი 4,5 ტოლია. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა. შ.) ერთი და იგივე მატჩის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგალითად: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1).

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება შემდეგ შემთხვევაში:

1. ფსონი დადებულია მატჩის დამთავრების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (საკლუბო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონები, რომლებიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე).
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება).
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა.
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი.
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

იმ შემთხვევაში, როცა ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვერა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის კოეფიციენტად ჩაითვლება 1 (ერთი) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით, გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია საკლუბო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ.

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა პატრონს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, როცა ქვითრის ორი მხარე ერთნაირად არ არის შევსებული, განსახილველად მიიღება კროკოს ადმინისტრაციაში შემოსულ ნაწილზე მითითებული ვარიანტი.

ფსონის მინიმალური ოდენობა: ერთ ვარიანტზე 50 თეთრი. ერთ ვარიანტში არ შეიძლება გადამრავლდეს 20 მატჩზე მეტი.

### ქვითრის შევსების ნიმუშები:

| | |
|---|---|
| ინტერი — კალიარი | 1 |
| 1 ლარი | |
| ინტერი — კალიარი | 1 |
| პარმა — ლაციო | 1X |
| რომა — ნაპოლი | 1 |
| სამპდორია — მილანი | X2 |
| იუვენტუსი — ფიორენტინა | 0:0 |
| 4 ვარიანტი | |
| 4X1 ლარი-4 ლარი | |
| ინტერი — კალიარი | 1 |
| პარმა — ლაციო | X |
| რომა — ნაპოლი | 1 |
| სამპდორია — მილანი | 2 |
| იუვენტუსი — ფიორენტინა | X |
| 5-1 5 ვარიანტი | |
| 5X1 ლარი=5 ლარი | |

## გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. (11-13.10)

| თარიღი | წყვილი (ბოლო ორი მატჩი) | ძირითადი დრო | | | ჰანდიკაპი | | | | 95-96 | | 94-95 | | 93-94 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11.10 | ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი<br>შტუტგარტი 2:4 ს; მიუნხენი 1:0 შ<br>ჰანზა 1:0 შ; დიუსელდორფი 0:1 ს | 1.7 | 3.0 | 3.1 | — | — | — | — | 0:0 | 0:1 | 1:1 | 2:1 | 3:3 | 1:1 |
| | მიუნხენი — ზანქტ პაული<br>მიონხენგლადბახი 0:1 ს; დიუსელდორფი 3:0 შ<br>შტუტგარტი 2:5 შ; დორტმუნდი 1:2 ს | 1,3 | 3,0 | 6,5 | — | — | — | — | 2:0 | 2:4 | — | — | — | — |
| 12.10 | დორტმუნდი — დუისბურგი<br>ბოხუმი 0:1 ს; კიოლნი 3:0 შ<br>ზანქტ პაული 2:1 შ; ჰამბურგი 1:1 ს | 1,1 | 4,0 | 10,0 | 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 | — | — | 1:0 | 3:2 | 2:1 | 2:2 |
| | ჰამბურგი — არმინია<br>ბაიერნი 1:2 ს; ვერდერი 3:1 შ<br>დუისბურგი 1:1 შ; კარლსრუე 2:5 ს | 1,2 | 3,3 | 8,0 | 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 | — | — | — | — | — | — |
| | ვერდერი — შალკე<br>არმინია 1:3 ს; კარლსრუე 0:1 შ<br>ბაიერნი 3:0 შ; ლევერკუზენი 1:2 შ | 1,15 | 4,0 | 7,0 | 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 | 1:2 | 1:2 | 2:1 | 2:4 | 0:1 | 1:1 |
| | კარლსრუე — ლევერკუზენი<br>შალკე 1:0 ს; ჰანზა 4:1 შ<br>არმინია 5:2 შ; შალკე 2:1 ს | 2,0 | 3,0 | 2,4 | — | — | — | — | 1:4 | 2:1 | 2:4 | 0:0 | 2:0 | 1:3 |
| | ჰანზა — შტუტგარტი<br>ლევერკუზენი 1:4 ს; ფრაიბურგი 4:2 შ<br>ფრაიბურგი 0:1 ს; მიუნხენი 5:2 ს | 3,4 | 3,0 | 1,6 | — | — | — | — | 3:3 | 1:1 | — | — | — | — |
| | კიოლნი — ბაიერნი<br>დუისბურგი 0:3 ს; ჰამბურგი 2:1 შ<br>ბოხუმი 2:0 შ; ვერდერი 0:3 ს | 2,3 | 2,5 | 2,3 | — | — | — | — | 0:0 | 2:3 | 3:1 | 2:2 | 0:4 | 0:1 |
| 13.10 | დიუსელდორფი — ბოხუმი<br>ზანქტ პაული 0:3 ს; დორტმუნდი 1:0 შ<br>მიონხენგლადბახი 1:0 შ; კიოლნი 0:2 ს | 1,6 | 2,8 | 3,8 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

IX ტური: ბოხუმი — დორტმუნდი 1:0
ზანქტ პაული — დიუსელდორფი 3:0
მიონხენგლადბახი — მიუნხენი 1:0
შტუტგარტი — ფრაიბურგი 4:2
შალკე — კარლსრუე 0:1
არმინია — ვერდერი 3:1
ბაიერნი — ჰამბურგი 2:1
დუისბურგი — კიოლნი 3:0
ლევერკუზენი — ჰანზა 4:1

XI ტური: ბოხუმი — მიუნხენი
ზანქტ პაული — ფრაიბურგი
მიონხენგლადბახი — ჰანზა
კარლსრუე — ვერდერი
შალკე — ჰამბურგი
არმინია — კიოლნი
ბაიერნი — დორტმუნდი
დუისბურგი — ფორტუნა
ლევერკუზენი — შტუტგარტი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | შტუტგარტი | 9 | 7 | 1 | 1 | 26-8 | 22 | 5 | 4 | 0 | 1 | 14-5 | 12 | 4 | 3 | 1 | 0 | 12-3 | 10 |
| 2. | ლევერკუზენი | 9 | 7 | 0 | 2 | 24-13 | 21 | 5 | 4 | 0 | 1 | 16-7 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 8-6 | 9 |
| 3. | ბაიერნი | 9 | 6 | 2 | 1 | 16-9 | 20 | 5 | 4 | 1 | 0 | 9-4 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 4. | კარლსრუე | 9 | 5 | 1 | 3 | 17-11 | 16 | 4 | 3 | 0 | 1 | 10-4 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 5. | დორტმუნდი | 9 | 5 | 1 | 3 | 17-14 | 16 | 4 | 3 | 1 | 0 | 10-3 | 10 | 5 | 2 | 0 | 3 | 7-11 | 6 |
| 6. | კიოლნი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-10 | 16 | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| 7. | ბოხუმი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-12 | 15 | 5 | 4 | 1 | 0 | 9-3 | 13 | 4 | 0 | 2 | 2 | 3-9 | 2 |
| 8 | ვერდერი | 9 | 4 | 1 | 4 | 19-13 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 10-2 | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 9-11 | 3 |
| 9. | დიუსელდორფი | 9 | 4 | 1 | 4 | 6-13 | 13 | 4 | 1 | 1 | 2 | 1-5 | 4 | 5 | 3 | 0 | 2 | 5-8 | 9 |
| 10. | მ. გლადბახი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-10 | 11 | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 10 | 4 | 0 | 1 | 3 | 0-6 | 1 |
| 11. | ჰამბურგი | 9 | 3 | 1 | 5 | 13-16 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 9-6 | 7 | 5 | 1 | 0 | 4 | 4-10 | 3 |
| 12. | მიუნხენი | 9 | 3 | 1 | 5 | 13-16 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 9-9 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| 13. | შალკე 04 | 9 | 2 | 4 | 3 | 9-13 | 10 | 5 | 0 | 3 | 2 | 3-5 | 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 6-8 | 7 |
| 14. | ჰანზა | 9 | 2 | 2 | 5 | 10-14 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 4-8 | 1 | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| 15. | დუისბურგი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-14 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 7-10 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |
| 16. | ზანქტპაული | 9 | 2 | 2 | 5 | 11-19 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 8-9 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 3-10 | 3 |
| 17. | არმინია | 9 | 1 | 3 | 5 | 8-13 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 4 | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |
| 18 | ფრაიბურგი | 9 | 2 | 0 | 7 | 13-28 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 | 5 | 0 | 0 | 5 | 7-21 | 0 |

| № | ბუნდესლიგა 1996-97 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არმინია ბილეფელდი | | | | | 1:1 | 3:1 | 1:2 | | | 0:1 | | | | | 0:1 | | | |
| 2 | ბაიერნი მიუნხენი | 1:0 | | 1:1 | 1:0 | | | | 1:0 | | 4:2 | | | | | | | 2:1 | |
| 3 | ბოხუმი | 1:1 | | | | 1:0 | | | 3:1 | | | | | | | | | 3:1 | |
| 4 | ბორუსია დორტმუნდი | | | | | | | 2:1 | | | | | | 4:0 | 3:1 | | 1:1 | | |
| 5 | დუისბურგი | | 0:4 | | | | 3:2 | | | 3:0 | 1:3 | | | | | 0:1 | | | |
| 6 | ვერდერი ბრემენი | | 3:0 | 5:1 | | | | | | | | 1:0 | | | | | | | 1:1 |
| 7 | ზანქტ პაული ჰამბურგი | | 1:2 | | | | 0:3 | | | 0:0 | | | | 3:0 | | 4:4 | | | |
| 8 | კარლსრუე | 5:2 | | | | 1:0 | | 4:0 | | | | | | | | | 0:2 | | |
| 9 | კიოლნი | | | 2:0 | | | | | | | | 4:0 | 1:0 | | | | | | 0:2 |
| 10 | ბაიერი ლევერკუზენი | | | | 4:2 | | | | | | | | 3:0 | 0:1 | 5:3 | | | | 4:1 |
| 11 | ბორუსია მიონხენგლადბახი | 0:0 | | | 5:1 | | | | 1:3 | | | | 1:0 | | | | | 3:0 | |
| 12 | მიუნხენი 1860 | | | | 1:3 | | | | | | | | | | 4:0 | | 2:5 | 2:1 | |
| 13 | ფორტუნა დიუსელდორფი | | | | | | | | | 0:3 | | 1:0 | 0:0 | | | | | | 0:2 |
| 14 | ფრაიბურგი | | | | | | 3:2 | | | 1:3 | | | | 1:2 | | | | | 1:0 |
| 15 | შალკე 04 გელზენკირხენი | | 1:1 | 1:1 | | | | | 0:1 | | 1:2 | 0:0 | | | | | | | |
| 16 | შტუტგარტი | | | | | | 2:1 | | | 4:0 | | | | 0:2 | 4:2 | 4:0 | | | |
| 17 | ჰამბურგი | | | | | 1:1 | | 3:0 | | | | | | | 5:1 | | 0:4 | | |
| 18 | ჰანზა როსტოკი | | | | 0:1 | | | 2:2 | | | | | 2:4 | | | | | 0:1 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური. (12-14.10)

| თარიღი | წყვილი (ბოლო ორი მატჩი) | ძირითადი დრო | | | ჰანდიკაპი | | | | 95-96 | | 94-95 | | 93-94 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12.10 | მანჩესტერ იუნაიტედი — ლივერპული<br>ტოტენჰემი 2:0 შ / ვესტ ჰემი 2:1 ს<br>ასტონ ვილა 0:0 ს / ჩელსი 5:1 შ | 1,6 | 2,8 | 3,8 | — | — | — | — | 2:0 | 2:2 | 2:0 | 0:2 | 3:3 | 0:1 |
| | ბლეკბერნი — არსენალი<br>ქოვენტრი 0:0 ს / სანდერლენდი 2:0 შ<br>ევერტონი 1:1 შ / მიდლსბორო 2:0 ს | 3,8 | 2,8 | 1,6 | — | — | — | — | 1:1 | 0:0 | 3:1 | 0:0 | 1:1 | 0:1 |
| | დერბი — ნიუკასლი<br>უიმბლდონი 0:2 შ / ასტონ ვილა 4:3 შ<br>შეფილდი 0:0 ს / ლიდსი 1:0 ს | 3,8 | 2,8 | 1,6 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | ევერტონი — ვესტ ჰემი<br>შეფილდი 2:0 შ / ლივერპული 1:2 შ<br>ბლეკბერნი 1:1 ს / ნოტინგემი 2:0 ს | 1,4 | 3,0 | 5,0 | — | — | — | — | 3:0 | 1:2 | 1:0 | 2:2 | 3:2 | 1:0 |
| | ლიდსი — ნოტინგემი<br>ლესტერი 0:1 ს / ჩელსი 1:1 ს<br>ნიუკასლი 0:1 შ / ვესტ ჰემი 0:2 შ | 1,5 | 2,7 | 4,7 | — | — | — | — | 1:3 | 1:2 | 1:0 | 0:3 | — | — |
| | ტოტენჰემი — ასტონ ვილა<br>მანჩესტერი 0:2 ს / ნიუკასლი 3:4 ს<br>ლესტერი 1:2 შ / მანჩესტერი 0:0 შ | 1,7 | 2,7 | 3,4 | — | — | — | — | 0:1 | 1:2 | 3:4 | 0:1 | 1:1 | 0:1 |
| | უიმბლდონი — შეფილდი<br>დერბი 2:0 ს / ევერტონი 0:2 ს<br>საუთჰემპტონი 3:1 შ / დერბი 0:0 შ | 1,45 | 3,0 | 4,4 | — | — | — | — | 1:1 | 1:0 | 0:2 | 0:1 | 2:0 | 0:5 |
| | ლესტერი — ჩელსი<br>ლიდსი 1:0 შ / ნოტინგემი 1:1 შ<br>ტოტენჰემი 2:1 ს / ლივერპული 1:5 ს | 2,7 | 2,7 | 2,0 | — | — | — | — | — | — | 1:1 | 0:4 | — | — |
| 13.10 | ქოვენტრი — საუთჰემპტონი<br>ბლეკბერნი 0:0 შ / მიდლსბორო 4:0 შ<br>სანდერლენდი 0:1 ს / უიმბლდონი 1:3 ს | 1,7 | 2,7 | 3,4 | — | — | — | — | 1:1 | 0:1 | 1:3 | 0:0 | 1:1 | 0:1 |
| 14.10 | სანდერლენდი — მიდლსბრო<br>არსენალი 0:2 ს / საუთჰემპტონი 0:4 ს<br>ქოვენტრი 1:0 შ / არსენალი 0:2 შ | 2,1 | 2,6 | 2,6 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

VIII ტური: არსენალი — სანდერლენდი 2:0, ჩელსი — ნოტინგემი 1:1, ქოვენტრი — ბლექბერნი 0:0, დერბი — უიმბლდონი 0:2, ევერტონი — შეფილდი 2:0, ლესტერი — ლიდსი 1:0, მანჩესტერი — ტოტენჰემი 2:0, ნიუკასლი — ასტონ ვილა 4:3, საუთჰემპტონი — მიდლსბრო 4:0, ვესტ ჰემი — ლივერპული 1:2

X ტური: არსენალი — ქოვენთრი, ასტონ ვილა — ლიდსი, ჩელსი — უიმბლდონი, ლივერპული — ევერტონი, მიდლსბრო — ტოტენჰემი, ნიუკასლი — მანჩესტერი, ნოტინგემი — დერბი, შეფილდი — ბლექბერნი, საუთჰემპტონი — სანდერლენდი, ვესტ ჰემი — ლესტერი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ლივერპული | 8 | 6 | 2 | 0 | 18-6 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 | 4 | 3 | 1 | 0 | 9-4 | 10 |
| 2. | ნიუკასლი | 8 | 6 | 0 | 2 | 14-10 | 18 | 4 | 3 | 0 | 1 | 9-6 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 5-4 | 9 |
| 3. | არსენალი | 8 | 5 | 2 | 1 | 17-8 | 17 | 4 | 3 | 1 | 0 | 11-4 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 4. | მანჩესტერი | 8 | 4 | 4 | 0 | 18-6 | 16 | 4 | 2 | 2 | 0 | 10-5 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 8-1 | 8 |
| 5. | უიმბლდონი | 8 | 5 | 0 | 3 | 12-7 | 15 | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 4-3 | 6 |
| 6. | ჩელსი | 8 | 3 | 4 | 1 | 11-10 | 13 | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 6-8 | 5 |
| 7. | შეფილდი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-11 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 5-7 | 6 |
| 8. | ასტონ ვილა | 8 | 3 | 3 | 2 | 11-9 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 | 3 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 9. | მიდლსბრო | 8 | 3 | 2 | 3 | 14-13 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 11-6 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 10. | ლესტერი | 8 | 3 | 2 | 3 | 6-9 | 11 | 4 | 2 | 0 | 2 | 3-6 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| 11. | დერბი ქაუნთი | 8 | 2 | 4 | 2 | 8-10 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 5-6 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
